# საერთო გაზეთი

№46 (638)
ოთხშაბათი
15 დეკემბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.


## შერიგება ნაციონალურად, ანუ „დარლასამც შაეწირები“



შერიგება კი არ სურთ ამ ფარისევლებს, ისე, როგორც ზვიადაური დააკლეს დარლას, ისე უნდათ „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობას“ დააკლან, რომ „ნაცმოძრაობის“ ცოდვილი სული როგორმე პოლიტიკურ სამოთხეში შევიდეს.

**„ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!“**

– ასეთი იყო ზვიადაურის პასუხი. „ქართული ოცნების“ პასუხიც იგივე უნდა იყოს...





## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

### სააკაშვილთან და ნაცმოძრაობასთან შერიგებაზე ლაპარაკიც კი დანაშაულია!

## არასასურველი ადამიანების „გაქრობის“ სპეციალისტი








## ნატოსკენ მიმავალ გზაზე შლაგბაუმები აღიმართა, რომელიც შეიძლება ათი წელი არ გაიხსნას

## კაცი-ფეიკი, ანუ სააკაშვილის კიმჩენიზაცია

საქართველოს მოსახლეობის ნაწილი მენტალურად ჩრდილოეთ კორეაში ცხოვრობს

## „პატარა მამაკაცი“ დიდი ამბიციებით

ევროპელი ფსიქიატრები მიხეილ სააკაშვილის შესახებ

## გერმანიის ახალი კანცლერი ქვეყნის სოციალიზმის გზით წაყვანას აპირებს

## რას განასახიერებს ნაძვის ხის კენწეროზე დამაგრებული ვარსკვლავი?

**„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**



# შერიგება ნაციონალურად, ანუ „დარლასამც შაეწირები“

**შერიგება კი არ სურთ ამ ფარისევლებს, ისე, როგორც ზვიადაური დააკლეს დარლას, ისე უნდათ „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობას“ დააკლან, რომ „ნაცმოძრაობის“ ცოდვილი სული როგორმე პოლიტიკურ სამოთხეში შევიდეს. „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!“ – ასეთი იყო ზვიადაურის პასუხი. „ქართული ოცნების“ პასუხიც იგივე უნდა იყოს...**

**ვახტანგ ხარჩილავა:**

ბოლო ხანებში ნაციონალებმა შერიგებაზე დაიწყეს ლაპარაკი.

თვით სააკაშვილმაც კი, „ქართული ოცნების“ შეურიგებელმა მტერმა, რომელიც აქამდე ყოველგვარი კომპრომისის წინააღმდეგი იყო, ტონი შეარბილა და მისთვის ჩვეული ენის მოჩლექით, შერიგებაზე და ეროვნულ თანხმობაზე ჩამოაგდო სიტყვა.

შერიგება კარგია, მაგრამ ნაცებს ჯერ არ დაუზუსტებიათ, როგორ წარმოუდგენიათ ეს შერიგების პროცესი.

ვისთან უნდა შერიგდნენ, როგორ და რა პირობით უნდა შერიგდნენ? — ამ დეტალებზე ნაციონალები ჯერჯერობით არ ლაპარაკობენ.

თუ საუბარია „ქართულ ოცნებასთან“, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, შერიგებაზე, ეს შერიგება შეიძლება შედგეს, მაგრამ „ქართული ოცნება“ თუ ამ ნაბიჯს გადადგამს, არ არის გამორიცხული, ქართველი ხალხის ისეთი პროტესტი დაიმსახუროს, რომ დღის წესრიგში მისი ყოფნაარყოფნის საკითხი დადგეს.

**ვფიქრობ, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი არასოდეს შეურიგდება „ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ შერიგებას და თუ ეს მაინც მოხდება, მაშინ ორივეს ზურგს შეაქცევს და მესამე პოლიტიკურ ძალაზე დაიწყებს ფიქრს.**

მართალია, ეს მესამე პოლიტიკური ძალა ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ ის აუცილებლად გაჩნდება, აუცილებლად ამოიზრდება იმედგაცრუებული, უკიდურესად ნაწყენი და გაბრაზებული ხალხის წიაღიდან.

ასე რომ, ეს შერიგება შეიძლება ახალი პოლიტიკური ძალის დაბადების წინაპირობა გახდეს და ამ შერიგებით „ნაცმოძრაობამ“ და „ქართულმა ოცნებამ“ საერთო მესაფლავე გამოჩხრიკონ.

თუ რაიმე პრეტენზია აქვს ქართველ ხალხს „ქართულ ოცნებასთან“, პირველ ყოვლისა, პრეტენზია აქვს ავადსახსენებელი კოაბიტაციისა და „ნაცმოძრაობასთან“ ზედმეტად ლოიალური და შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო, რამაც სამართლიანობის აღდგენის პროცესი სერიოზულად დააზიანა და შეაფერხა, თუმცა საქართველოს მოქალაქეებს ჯერ მაინც შერჩათ იმედი, რომ უამრავი დანაშაულის ჩამდენ სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“ ნაავკაცარი არ შერჩებათ.

ეს მინავლული იმედი სააკაშვილის დაპატიმრებამ ახალი ძალით გააცოცხლა, თუმცა პრეზიდენტყოფილის სასამართლო პროცესებმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი არ სამართლდება იმ უმძიმესი დანაშაულების გამო, რაც მას აქვს ჩადენილი საქართველოს წინაშე, რაც ქართველი საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას იწვევს.







ჯერ ძნელი სათქმელია, როგორი გაგრძელება ექნება ამ სასამართლო პროცესებს და, საერთოდ, როგორ დამთავრდება იგი.

„ნაციონალური მოძრაობა“ რიგგარეშე არჩევნებს და სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს და პარალელურად შერიგებაზე ლაპარაკობს, ყოველივე ამის პარალელურად კი სააკაშვილი რევოლუციური სცენარის სხვადასხვა ვარიანტებს აანონსებს გორის ჰოსპიტლიდან.

უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში „ნაციონალურ მოძრაობაში“ რამდენიმე პარალელური ხაზი გაჩნდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ პარტიაში ერთიანობა არ არის, რაც ამ პოლიტიკური ორგანიზაციისთვის შეიძლება ძალიან მძიმე შედეგებით დამთავრდეს.

როცა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პარტია შერიგებაზე იწყებს ლაპარაკს, ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია საკუთარ ძალებში დარწმუნებული არ არის და ცდილობს, პრობლემები მასზე ძლიერ პოლიტიკურ ოპონენტთან დაზავებით, შეთანხმებით და, სააკაშვილის ტერმინს თუ ვიხმართ, დიდი გადატვირთვით მოაგვაროს.

გაუგებარია, რა უნდა გადატვირთოს და რა უნდა გადმოტვირთოს ციხეში მჯდარმა სააკაშვილმა, რა ბერკეტები აქვს მას გარდა იმისა, რომ ფეისბუკის საკუთარ გვერდზე ისეთ ომახიან პოსტებს დებს ხოლმე, გეგონება, ეს კაცი ციხეში კი არ ზის, ისევ პრეზიდენტის სავარძელშია წამოჭიმული და ქვეშევრდომებს დირექტივებს და ინსტრუქციებს აძლევსო.

სააკაშვილი რომ აშკარად მოწყვეტილია რეალობას და რაღაც წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობს, ეს წერილებსა თუ განცხადებებშიც ნათლად ჩანს, რომელსაც სააკაშვილი თავის მხარდამჭერებს პერიოდულად უგზავნის და რომლებშიც საქმე ისეა წარმოჩენილი, თითქოს სააკაშვილი კი არა, ივანიშვილი, ღარიბაშვილი, კობახიძე სხედან საკნებში, ეს კი „ნადზირატელია“.

— „ქართულ ოცნებას“ ძალიან უჭირს, „ქართული ოცნება“ კრიზისშია და ჩვენ სულ მალე ვიზეიმებთ გამარჯვებას, — აცხადებს სააკაშვილი.

იქნებ ვინმემ გააგებინოს ამ კაცს, რომ ის, ვინც ციხეში ზის, ივანიშვილი კი არა, თვითონ არის და ექვსი წელი აქვს მისჯილი.

ერთხელ დავწერე, სააკაშვილი მკვდრეთით აღმდგარი ლენინია-მეთქი, თუმცა საწყალ ლენინს ის საინფორმაციო საშუალებები რომ ჰქონოდა, რაც ამას აქვს, ნიკოლოზ მეფეს ცხრაასჩვიდმეტში კი არა, ცხრაასხუთში დაამხობდა.





ლენინი რძეში აწობდა ბატის ფრთისგან დამზადებულ კალამს და ისე წერდა თავის რევოლუციურ მოწოდებებს, ეს კი, ეს სიმაღლეში დაგრძელებული ლენინი, ინტერნეტით, ფეისბუკით ავრცელებს თავის ნაბოდვარს, დღეში ხუთი-ექვსი შიკრიკი დაუდის და იმათ ატანს წერილებს, ცალკე თავის წითელ კომისრებს, თავის მრავალრიცხოვან ადვოკატებს, „ნაცისტ“ ექიმებს იყენებს ხალხთან საკომუნიკაციოდ, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდის და, იცით, რატომ? იმიტომ, რომ ამ გონებაარეულ კაცს გონებასთან ერთად დროც აერია, ახლაც 2003 წელი ჰგონია და დარწმუნებულია, ისევ მოახდენს ახალ „ვარდების რევოლუციას“ და იმას ვერ ხვდება, რომ მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ეს შეუძლებელია.

2003 წელს საქართველომ ჯერ კიდევ არ იცოდა, რა წარმოადგენდა სააკაშვილი, დღეს კი ის ბოლომდე გაშიშვლებულია, ბოლომდე გაშიფრულია და მისი დაბრუნება ხელისუფლებაში ისევე გამორიცხულია, როგორც უკვე ჩავლილი მდინარის ხელახლა დაბრუნება სათავესთან.

●

და მაინც, რას ნიშნავს შერიგება ნაციონალების გაგებით?

ყოველ შემთხვევაში, იმას ნამდვილად არა, რასაც ამ სიტყვის შინაარსი გულისხმობს.

ნაციონალები შერიგებაში იმას გულისხმობენ, რომ დავივიწყოთ ყველაფერი, რაც მათ ჩაუდენიათ, შევწყვიტოთ სისხლის სამართლის საქმეები, გავაჩეროთ სასამართლო პროცესები, გავათავისუფლოთ ნაციონალი დამნაშავეები ციხეებიდან და, რაც მთავარია, დაუყოვნებლივ გავათავისუფლოთ სააკაშვილი და მივცეთ მას პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების უფლება.

აი, ამას ნიშნავს შერიგება ნაციონალურად.

**რას მიიღებს საქართველო ამ შერიგების სანაცვლოდ?**

**რას მიიღებს და სააკაშვილთან ერთად ხელისუფლებაში დაბრუნებულ „ნაცმოძრაობას“.**

ამიტომ ყოველგვარი საუბარი შერიგებაზე კატეგორიულად მიუღებელია, ისევე, როგორც კატეგორიულად დაუშვებელია გაუაზრებელი და დემაგოგიური საუბრები რიგგარეშე არჩევნებზე და კოალიციურ მთავრობაზე.

**ვინც პოლარიზაციის განმუხტვის ვითომცდა კეთილშობილური და პატრიოტული მოტივებით „ნაცმოძრაობასთან“ შერიგებისკენ მოგვიწოდებს, ის, სინამდვილეში, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებას გვთავაზობს.**

კარგად დავიმახსოვროთ ეს ყველამ და, პირველ რიგში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ...

●

— ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საზოგადოებაში არსებული პოლარიზაცია დამთავრდეს! — ბრძანა ამასწინათ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

ქალბატონ სალომეს არ დაუზუსტებია, როგორ და რანაირად აპირებს ამის გაკეთებას, თუმცა საზოგადოებაში უკვე გაჩნდა სხვადასხვა ვერსიები პრეზიდენტის ამ განცხადებასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი ვერსიით, შეიძლება საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმა მესამე პრეზიდენტი შეიწყალოს.

მართალია, არა და არასოდესო, კი თქვა ზურაბიშვილმა, მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოებათა გამო ეს „არა და არასოდეს“ შეიძლება „კი, ბატონოთი“ შეიცვალოს და როგორც მოშიაშვილს დაუძახეს, ისე ამასაც მოულოდნელად დაუძახონ:

— სააკაშვილი, ს ვეშჩამი!

სხვათა შორის, მოშიაშვილი და სააკაშვილი რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს.

სააკაშვილმა, მოშიაშვილივით, ძალიან ბევრი საიდუმლო იცის, ამიტომ ციხეში მისი დიდხანს ჯდომა დაუშვებელია — შეიძლება გუდას მოხსნას პირი და თავისი „პადელნიკები“ ერთმანეთის მიყოლებით ჩაუშვას.





შეწყალება ერთია, მაგრამ მთავარი და უპირველესი თავსატეხი სხვა რამ არის: სად მიდის მერე ეს შეწყალებული სააკაშვილი — საქართველოში დარჩება თუ ქვეყნიდან მიდის, რომ უკან არასოდეს მოიხედოს.

საქართველოში თუ დარჩა, პოლარიზაცია და თავპირისმტვრევა მერე ნახეთ თქვენ.

თუ საქართველოდან წავიდა, ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ შეწყალებული და ცოდვებისგან გარეცხილი, მოკლე ხანში უკან არ შემოგვიბრუნდება რომელიმე ტრაილერით და კვლავ რევოლუციის მოწყობას არ დააპირებს?

რით ვერ გაიგეს ვიღაც-ვიღაცებმა, რომ სააკაშვილი ნორმალური არ არის და მის შეწყალებას თუ მასთან შერიგებას არავითარი აზრი არ აქვს — ის, შეწყალებული თუ შერიგებული, ზუსტად იგივეს გააკეთებს, რასაც აქამდე აკეთებდა.

სააკაშვილი საქართველოს აშანტაჟებს და თუ ამ შანტაჟს თავი დავუხარეთ და მის ხუშტურებს დავემორჩილეთ, ის აუცილებლად შეიწირავს ქართულ სახელმწიფოს.

როგორც არაერთგზის თქმულა, სააკაშვილის ძალაუფლებასთან მიშვება არ შეიძლება!!!

ძალაუფლებით შეიარაღებული სააკაშვილი ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის უკიდურესად სახიფათო და საშიშია!

ის ხაფანგში გაება და ახლა ყველაფერს კადრულობს, რომ ამ ხაფანგიდან როგორმე თავი დაიხსნას.

რევოლუცია და სახელმწიფო გადატრიალების რამდენიმე მცდელობა არ გამოუვიდა და ახლა ეროვნულ თანხმობაზე და შერიგებაზე ალაპარაკდა ხელოვნურად დაწვრილებული ხმით.

— სამხრეთაფრიკული მოდელი გამოვიყენოთ ეროვნული შერიგების და დიდი გადატვირთვისთვის. მეწვიოს პრეზიდენტი ზურაბიშვილი გორის ჰოსპიტალში, შუამავლობა პრეზიდენტ მარგველაშვილს ვთხოვოთ, დავსხდეთ და გადავწყვიტოთ, როგორ მივაღწიოთ ეროვნულ თანხმობას. მე ქვეყნის ბედი მაწუხებს, თორემ პირადად მე არც შეწყალებას ვითხოვ და არც არაფერს, ქვეყანა გადავარჩინოთო, პატრიოტობს ეს თვალთმაქცი და ფარისეველი სააკაშვილი და ვითომ სამშობლოს ბედით გულდამდუღრული, ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებს.

**ვინ ეტყვის ამ უსინდისო კაცს, რომ ყველა უბედურება, რაც ამ ქვეყანას სჭირს, მისგან მოდის. ის თავად არის ეროვნული უბედურება**, ის თავად არის იმ კრიმინალური ბანდის შემქმნელი და მეთაური, რომელმაც ქვეყანა პირწმინდად გაძარცვა, ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი გაასხვისა, ქართველი ერი შეურაცხყო, დაამცირა, მისი დაბეჩავება და დაჩოქება სცადა, ბოლოს კი საკუთარ სამშობლოს შეაფურთხა, მის მოქალაქეობაზე უარი თქვა და სხვა ქვეყნის მოქალაქე გახდა.

აი, ამის გამკეთებელი კაცი ბედავს და ეროვნულ თანხმობაზე და შერიგებაზე საუბრობს და ცდილობს, ამ დემაგოგიურ საუბარში მთელი ქვეყანა ჩაითრიოს.

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლება დაამხეს და საქართველოს პირველი პრეზიდენტი მოკლეს, ეროვნული თანხმობის და შერიგების თემა პერიოდულად შემოვარდება ხოლმე საპოლემიკოდ და სადისკუსიოდ.

ცხადია, ამ დისკუსიის ინიციატორი ის ძალაა, რომელსაც მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი და თანხმობითა და შერიგებით ამ დანაშაულის ჩამოწერას და პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობს.

სააკაშვილიც ჭკუაში გვატყუებს ვითომ და ეროვნული თანხმობის და შერიგების მოტივით თავისი უმძიმესი დანაშაულებისგან განთავისუფლება უნდა.

— დავსხდეთ აგერ ჰოსპიტალში სამი პრეზიდენტი და ეს საკითხი დროულად გადავწყვიტოთო, — ამბობს სააკაშვილი, როგორც თავად უწოდებს საკუთარ თავს — „ამ ქვეყნის პატრიოტი მოქალაქე“.

**„პატრიოტმა მოქალაქემ“, როგორც ჩანს, არ იცის, რომ, გარდა სამი პრეზიდენტისა, ამ ქვეყანას კიდევ ჰყავს სხვა პრეზიდენტი, მთავარი პრეზიდენტი, მარადიული პრეზიდენტი — ქართველი ხალხი**.

აი, ამ პრეზიდენტმა რვაჯერ უთხრა უარი გადატრიალების და გაყალბების გზით ორჯერ გაპრეზიდენტებულ სააკაშვილს და მის ბანდას, მაგრამ ამას მარგველაშვილის იმედი აქვს — მარგველაშვილს იმხელა ავტორიტეტი აქვს, მაგან თუ მიშუამდგომლა, მის სიტყვას ქართველი ხალხი როგორ გადავაო.

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდა, ეს კიდევ წყალწაღებულ მარგველაშვილს ებღაუჭება.

სამხრეთაფრიკული მოდელი, რომელსაც სააკაშვილი ახსენებს, ნელსონ მანდელას ინიციატივით შეიქმნა.

**ნელსონ მანდელა 27 წელი ღირსეულად იჯდა ციხეში, ეს კიდევ, ეს თვითმარქვია მანდელა, ორი თვეა ციხეში ზის და ხან ტვინის აშლილობა აქვს და ხან — კუჭის**.

ციხეში საჯდომად უვარგისი კაცია სააკაშვილი — ორ თვეში მთხლედ იქცა და ისტერიკები დაემართა.

თუმცა ერთი კარგი რამ კი წამოსცდა ამ საბრალოს: მოდით, სამხრეთ აფრიკის მსგავსად, ჩვენც შევქმნათ სიმართლის დადგენის და შერიგების კომისიაო.

ეტყობა, ამას მართლაც სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აქვს და, როგორც ჩანს, გონებიდან წაეშალა ყველა ის დანაშაული, რაც აქვს ჩადენილი, თორემ სიმართლის დამდგენი კომისია შევქმნათო, როგორ იტყოდა?

მართლაც რომ შეიქმნას ეს კომისია და სააკაშვილს წინ რომ დაულაგონ მისი ბოროტი ნამოღვაწარის ამსახველი ტომეულები, მერე სად მიდის — სამუდამო პატიმრობა თუ არა, მინიმუმ ოცი წელი ხომ გარანტირებული აქვს?

— შერიგებას წინაპირობები უძღვის წინ. ეს არის სინანული და მონანიება. ჯერ ჩამოთვალონ ის დანაშაულები, რაც მათ აქვთ ჩადენილი... მერე თქვან, რომ ამ დანაშაულებს ინანიებენ, მერე ისიც თქვან, რომ მათი ადგილი პოლიტიკაში არ არის და მეორე დღესვე შევურიგდებითო, — თქვა ირაკლი კობახიძემ.



შესანიშნავი შეთავაზებაა — სამართლიანი, ობიექტური, ჰუმანური, ქრისტიანული.

აბა, ეგრე სად არი, სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ რომ უნდათ — არაფერი აღიარონ, არაფერი მოინანიონ, დღედაღამ დედამისის სული გვიტრიალონ, ჩვენ კიდევ შეგირიგდით, საყვარლებო, შეგირიგდითო, ვუძახოთ და ზედმეტი არაფერი ვაკადროთ.

●

შეიძლება სხვა საკითხებთან დაკავშირებით უსაყვედურო, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ დესტრუქციულობისკენ მიდრეკილება დააბრალო, დიდი უნამუსობაა.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან შერიგებისკენ, მიტევებისკენ, ერთიანობისკენ მოუწოდებდა ქართველ ხალხს და ამ მოწოდებას, ზოგჯერ საკუთარი ინტერესების საზიანოდ. კონკრეტული გადაწყვეტილებებით ამაგრებდა და ამტკიცებდა.

**„ნაციონალურ მოძრაობას“ ელემენტარული მადლიერების გრძნობა რომ გააჩნდეს, ის ბიძინა ივანიშვილს კი არ უნდა ლანძღავდეს, მისი მადლიერი უნდა იყოს, რადგან სწორედ მან იხსნა „ნაცმოძრაობა“ ქართველი ხალხის რისხვისგან**.

„ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური ნიშნით არავინ უდევნია, არავისთვის არაფერი წაურთმევია, არავინ შეუვიწროებია.

უფრო მეტიც, „ქართულ ოცნებას“ ნაციონალები უფრო დიდ პატივში ჰყავდა, ვიდრე თავისი მხარდამჭერები.

„ნაცმოძრაობას“ ცოტა ხანში შიშმა გაუარა, მოფერიანდა, მოღონიერდა და თავის კეთილისმყოფელებს მოუტრიალდა და სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ ყელის გამოღადვრა დაუპირა.

„ქართული ოცნება“ ცხრა წელია მგლის, ანუ „ნაცმოძრაობის“ თავზე სახარებას კითხულობს.

ბოდიშს ვიხდი მგლებთან ამ შედარებისთვის — მგლებს გაცილებით უფრო კეთილშობილური თვისებები აქვთ, ვიდრე ნაცებს.

ნაცები ტურისა და აფთრის ნაჯვარს უფრო ჰგვანან, ვიდრე მგლებს.

კიდევ ერთი ამბავი მაოცებს ძალიან — ისე არაქართულად იქცევიან ნაციონალები, თითქოს ქართველები არც არიან და რომელიღაც უცხო პლანეტიდან მოვიდნენ.

ისიც გასაკვირია, რომ ქალიან-კაციანად ყველა ერთნაირად იქცევა, ყველა ერთნაირად მეტყველებს, ყველა ერთნაირად იგინება, ყველა ერთნაირად იწყევლება, ყველა ერთნაირად ტყუის და თვალთმაქცობს.

სად, რომელ ლაბორატორიაში გაწვრთნეს ასე ერთნაირად, ვინ არის ამათი ტრენერი, ვინ ამოაცალა ყველას ეროვნული იდენტობის მასაზრდოებელი გენეტიკური ნერვი?

აი, ასეთები და ამნაირები დღეს „ქართული ოცნებისგან“ შერიგებას ითხოვენ.

შერიგება კი არ სურთ ამ ფარისევლებს, ისე, როგორც ზვიადაური დააკლეს დარლას, ისე უნდათ „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობას“ დააკლან, რომ „ნაცმოძრაობის“ ცოდვილი სული როგორმე პოლიტიკურ სამოთხეში შევიდეს.

„ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!“ — ასეთი იყო ზვიადაურის პასუხი.

„ქართული ოცნების“ პასუხიც იგივე უნდა იყოს…

# სააკაშვილთან და ნაცმოძრაობასთან შერიგებაზე ლაპარაკიც კი დანაშაულია!

***გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმოტრი ლორთქიფანიძე:***

**— ბატონო დიმიტრი, სასამართლო პროცესზე სააკაშვილის წარმოთქმულ სიტყვას როგორ შეაფასებთ და თქვენი აზრით, კიდევ რა დანაშაულობებისთვის უნდა წაეყენოს მას ბრალი?**

— სააკაშვილის მმართველობის პერიოდი სულ 1937 წელი იყო. გავიხსენოთ, როდის შედგა მისი ინაუგურაცია — 2004 წლის 25 იანვარს. ახლა, ისიც გავიხსენოთ, რა მოხდა მისი პრეზიდენტობის პირველივე თვეს — ბათუმის პლიაჟს ვერტმფრენმა გადაუფრინა, სადაც გულის წინაინფარქტით საწოლს მიჯაჭვული რკინიგზის დეპარტამენტის შეფი აკაკი ჩხაიძე იჯდა, რომელიც ჰოსპიტალიდან მოიტაცეს და დაკითხვის მიზნით საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადმოყვანეს. ამის გამკეთებელ ადამიანს, დღეს, პრეტენზიები აქვს რომ აწამეს. თუკი აკაკი ჩხაიძე ერთი ვერტმფრენით ჩატარებული სპეც.ოპერაციით ჩამოიყვანა, პრეზიდენტობიდან მეორე თვის თავზე, მან როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, 12 ვერტმფრენის ჰაერში აწევის ბრძანება გასცა. ხაზგასმით ვამბობ: შსს უფლებამოსილი არ იყო კონკრეტული სპეცოპერაციის ჩასატარებლად საავიაციო ესკადრილია პრეზიდენტის ნებართვის გარეშე გამოეყენებინა. ამ ოპერაციაში, ასევე, მონაწილეობდა გულუას, შსს-ს ჯარების სპეც.რაზმები, რომლებიც სვანეთში, მესტიის რაიონის სოფელ ეცერში აფრასიძეების ოჯახს თავს დაესხნენ, რისი აუცილებლობაც არ არსებობდა. ოჯახის ერთ-ერთი წევრი, დიდთოვლობის პერიოდში, თავისი სამხიდიანი კამაზით ემსახურებოდა არამარტო სოფელ ეცერს, არამედ მთლიანად ზემო-სვანეთს. შეეძლოთ მისთვის გზა გადაეჭრათ და ისე დაეკავებინათ. მაგრამ ეს გახლდათ საჩვენებელი სპეც. ოპერაცია ისევე, როგორც ბასილ მკალავიშვილის დაჭერა. ეს რეაქციული დასავლეთის სანუკვარი ოცნება იყო. სააკაშვილმა ეკლესიაზე დარტყმის დემონსტრირება მოახდინა, რაშიც მონაწილეობდნენ იუსტიციის, შსს-ს მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარის მოადილე. შედეგად, დასავლეთის გარკვეული კაბინეტებიდან, კიდევ უფრო დიდი მხარდაჭერა მიიღეს. სააკაშვილმა ყველა საჯარო მოხელე, წინასწარ დადგმული სცენარით დააკავა. ადამიანს იჭერდნენ, მორალურად ანადგურებდნენ და მერე, საჩვენებელი დადგმა კეთდებოდა თუ როგორ დაიჭირეს ეს თუ ის პირი. სააკაშვილმა სპეც.სამსახურის უფროსს სოსო თოფურიძეს უტიფრად სიკვდილი ცელით უწოდა. იგი საჩვენებელი დაკავებების საქმეში, მიშას მარჯვენა ხელი გახლდათ. მოკლედ, ქვეყანაში საჩვენებელი ტერორი დაიწყო. აფრასიძეების ოჯახი პირველი, დიდი მსხვერპლი იყო. ამ სპეც.ოპერაციას შეეწირა ოჯახის უფროსი, ასევე, მისი შვილი, რომელიც ჯერ დაჭრეს, მერე დახვრიტეს, ძვირფასეულობა მოპარეს, ბეჭედი თითიდან რომ ვერ მოაძვრეს, ბავშვების თვალწინ თითი მოაჭრეს. ოჯახში პირწმინდად გაძარცვეს. მეტიც, ერთი იარაღიც არ არის ამოღებული, რაც ნივთმტკიცებულება იქნებოდა იმისა, რომ ოჯახი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა და მათი განეიტრალებისთვის საჰაერო თავდასხმა იყო საჭირო. არსებობს ვიდეო-მასალა, სადაც სააკაშვილი აცხადებს: მათი კოშკები ყველა საშუალებით, მათ შორის, რაკეტებით უნდა დაიბომბოსო. აფრასიძეების ოჯახში ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობდა — 7, 9, 11, 12 წლისები, რომლებიც მამამ მოასწრო და საწოლქვეშ შეყარა, თან, ზემოდან რაღაცები დააყარა, რათა ტყვიას ადვილად არ გაევლო. მთელი საწოლი და მთლიანად სახლი დაცხრილული იყო. ეს არ უნდა გახდეს განსჯის საგანი?! მიშამ ამ ოჯახს ჯოჯოხეთი გამოატარა და ახლა, სასამართლოზე განაცხადა: მაწამებენ, არაადამიანურად მეპყრობიანო. ამის მერე, როგორ შევაფასო მისი გამოსვლა! წინა ინტერვიუში ბნელი ტრიადა, ეს ფსიქოლოგიური პორტრეტი ტყუილად როდი ვახსენე — ნარცისიზმი, მაკიაველიზმი და ფსიქოპათია. ეს გახლავთ გამოუსწორებელი ადამიანის პორტრეტი, რომელიც ყველაფერზე მიდის. დიახ, ეს არის ტირანის სახე, რომელიც სხვისი წამებით სიამოვნებას იღებს. ციხის კადრებიც სააკაშვილის ერთ-ერთი ხელწერა და ავტოგრაფია. ამ კადრებს სპეციალურად სააკაშვილისთვის, ადეიშვილისთვის, მერაბიშვილისთვის იღებდნენ. ადამიანებს აბუ-გრეიბის ციხის მეთოდებით უსწორდებოდნენ.









**— გარდა, საჩვენებელი დაჭერებისა კიდევ რა დანაშაულობებია 9-წლიანი რეჟიმის კისერზე?**

— დიახ, ერთი — ეს გახლდათ ტერორი, ხოლო მეორე — კაპიტალიზირებული ქონება და თავად, კაპიტალის რაც შეიძლება სწრაფად ამოღება. ამისთვის, ფინანსური პოლიცია შექმნეს. კეზერაშვილი პირველი ფინანსური პოლიციის შეფი გახლდათ. იგი, ბაჩა და დათა ახალაიებთან და სხვებთან ერთად, ბიზნესს, პირდაპირ, ატერორებდნენ. მაგალითად, ასე დაემართა ქიბარ ხალვაშის ბიზნესს „პროქტერ ენდ გემბელს“, რომელიც ცეცხლს მისცეს, დაწვეს და გაანადგურეს. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხალვაში მათთვის მიუღებელი პიროვნება გახდა მას მერე, რაც ირაკლი ოქრუაშვილი სააკაშვილს განუდგა. რას აკეთებდა კეზერაშვილი ფინანსურ პოლიციაში? — ამ სტრუქტურაში ყველა გამომძიებელი, სამსახურის უფროსი დაკავებული იყო შემდეგით: პირველ რიგში, იმ პირებს იბარებდნენ, რომელთა წინაშეც სახელმწიფოს დებიტორული დავალიანება ჰქონდა და მათ ეუბნებოდნენ: ახლავე, ხელს მოაწერთ, რომ პრეტენზია არ გაქვთ აღნიშნული დავალიანება ჩამოიწეროსო. თუ ხელს არ მოაწერდნენ, ამ ადამიანებს შავი პერსპექტივა ემუქრებოდათ. ყველანი — შსს, კუდი, სამხედრო სამსახური ფულის ამოღებაზე მუშაობდნენ. ვერ გაძლნენ და მერე, პროკურატურაც ამ სისტემით მუშაობაზე გადავიდა. დააფუძნეს კერძო პენიტენციური სისტემის განვითარების ფონდი. ის ვინც ბიუჯეტში საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებულ თანხას იხდიდა, პარალელურად, ვალდებული იყო სამჯერ მეტი თანხა „ეროვნულ ბანკში“ მითითებულ ანგარიშზე ჩაერიცხა, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები კერძო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე მიდიოდა. პირადად, მე, ჩემი კლიენტებისგან, დაახლოებით, 25 ათასი ლარი მაქვს შეტანილი. კლიენტი ბიუჯეტში 3 ათას ლარს იხდიდა, დანარჩენი კი პენიტენციური სისტემის განვითარების ფონდში ირიცხებოდა. ეს ირაკლი ოქრუაშვილის დროს დაწყებული პრაქტიკაა. ამ თანხების ნაწილი, სწორედ, ირაკლი ოქრუაშვილმა წაიღო. ეს, რეალურად, პარტიული შავი ყულაბა გახლდათ. ასე წოვდნენ სისხლს ქვეყანას. ყველაზე განვითარებული პრაქტიკა იცით, რა იყო? — ბიზნესმენებს ეუბნებოდნენ: მაგალითად, „ტოიოტას“ ცენტრიდან შენ, ახლა, იყიდი 10 მანქანას და შსს-ს შემოსწირავო. პროკურორები ამის შესახებ ბიზნესმენებს, პირდაპირ, ღია მესიჯებს უგზავნიდნენ. ერთ-ერთი ასეთი პროკურორი გახლდათ ბექა ბასილაია, რომელიც ამჟამად, სააკაშვილის ადვოკატია. ბასილაია გახლდათ ზონდერ-პროკურორი, რომელმაც გურჯაანში მოღვაწე ერთ-ერთ ბიზნესმენს ვალერი შოშიაშვილს მისწერა, რომ მას ყვარლის რაიონის სოფელში არსებული კლუბის დანგრეული შენობა 700 ათას ლარად უნდა შეეძინა. როცა ბიზნესმენმა მას უთხრა: ფული არ მაქვსო, იცით, ბასილაიამ რა ურჩია? — არაუშავს, ამ თანხას „საქართველოს ბანკი“ გამოგიყოფსო. წარმოიდგინეთ, ნოტარიუსის პალატის, ბანკების, განსაკუთრებით, „საქართველოს ბანკის“ უკან პარტიული ინტერესი იდგა. ბანკში მმართველი გახლდათ პრემიერ-მინისტრის გილაურის ძმა, რომლის წლიური ბონუსი 4 მილიონი ლარი იყო. მათ არაფრის ეშინოდათ — ბევრი წლით იყვნენ ხელისუფლებაში მოსული. წარმოგიდგენიათ, ზონდერ-პროკურორი ბექა ბასილაია მსხვერპლს ემესიჯება თუ რა მეთოდით უნდა გადაიხადოს 700 ათასი ლარი რომელიც მას არ აქვს — ბანკში სესხს აიღებ და ფულს გადაიხდიო. ესთანხები პარტიულ ყულაბაში შედიოდა. ასე დატერორდა ათასობით ადამიანი. ჯამში, სახეზეა 18900 დაზარალებულის განცხადება. ამიტომ, ის რომ ვანო მერაბიშვილი 5 წელი ციხეში იჯდა, ან უგულავა, ეს არაფერს ნიშნავს. მათ უკანონოდ მოპოვებული ქონება, დღეს, „გაპრავებული“ არ აქვთ. ავიღოთ, დავით კეზერაშვილი — წაგებული ომის მინისტრი, რომელმაც მოახერხა და ოფშორებში მილი-





არდები გაიტანა. მერე, მილიარდი დააბრუნა და ლატარიის კომპანიაში, სხვადასხვა ბიზნესებში გაათეთრა. დღეს, იგი, ოფიციალურ ხაზინადრად ითვლება. იგი, ტელეკომპანია „ფორმულას“ 30 მილიონი ლარით აფინანსებს. გიგი უგულავამ 48 მილიონი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პარტიულ ინტერესების დაფინანსებისთვის გამოზიდა. დღეს, იგი, ისე შეიწყალეს, რომ მის მიმართ სამოქალაქო სარჩელი არ წარუდგენიათ, რითაც მას, წესით, სახელმწიფო



მითვისებული ქონების უკან დაბრუნებაში უნდა ედავებოდეს. როგორ შეიძლება გიგი უგულავას პრეტენზია ქართული პოლიტიკის მართვასა და მნიშვნელოვანი საკვანძო თანამდებობის დაკავებაზე ჰქონდეს. ამის უფლებას მას „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აძლევს. საზოგადოებას ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ ღარიბაშვილი სწორ, ადეკვატურ ნაბიჯებს გადადგამს და პასუხს აგებინებს დავით გარეჯის გამყიდველს, აგვისტოს მოვლენების ინსპირატორ, ქვეყნის გამყიდველ ძალას. დიახ, არსებობს მოლოდინი რომ იგი პასუხს აგებინებს მარნეულისა და ხუჯაბის ეპარქიაში დატრიალებული დიდი ტრაგედიის ავტორს. ხუჯაბის მონასტერს დე-ფაქტო ჩვენს მხარეს ველარ ვხედავთ. მონასტერში მისასვლელს ვეღარ ვაკონტროლებთ. იქ, დგანან სომეხი ჯარისკაცები და გეუბნებიან: საქართველოს მოქალაქეს უფლება არ აქვს მივიდეს და ძირძველ ქართულ ტაძარში მოილოცოსო. ღარიბაშვილმა დაპირება უნდა აღასრულოს და ყველა სამშობლოს მოღალატე პასუხისგებაში მისცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას პრეტენზია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ გაუჩნდება: კრიმინალებს ხელს აფარებთო. მამული უნდა დავიცვათ! როდემდე უნდა შევეგუოთ ცხინვალის, სოხუმის ოკუპაციას, მამულების გაყიდვას?!



დავით გარეჯის მიმართულებით წითელი ხიდიდან ყველა 5 მწვერვალი დე-ფაქტო აზერბაიჯანის მხარისთვის არის გადაცემული. დემილიტაციის საზღვარი გავლებული არ არის. მაშინ, როგორ ჩაიბარა დე-ფაქტო აზერბაიჯანმა ეს ტერიტორია? ვინ მისცა მას იქ დგომის უფლება თუ არა, ისევ და ისევ, სააკაშვილის ხელისუფლებამ?!

**— სააკაშვილმა სასამართლოზე ბრძანა: ჩემთან მიმართებაში კორუფცია არ ახსენოთო,**



**7 ნოემბერი ტელევიზიით ვნახე, 26 მაისს კი გავეშებული პოლიცია თავისი სურვილით დაესხა მოსახლეობას თავს და მე გავაშველეო. რა ბრალეულობებზეც ახლა, თქვენ, ისაუბრეთ, ალბათ, უვადო პატიმრობას იმსახურებს, მაგრამ სად არის ეს ბრალდებები?**

— რეპრესიული ქმედებების, რაც საბოლოო ჯამში, ადამიანის ხელყოფაზე გადიოდა, უკან პოლიტიკური პასუხისმგებლობა დგას. შეუძლებელია, თეთრაძის მკვლელობაზე ვსაუბრობდეთ და პასუხისმგებლად არ მოვიხსენიოდ ზედა ეშელონები, რომელთა გარეშე არაფერი მოხდებოდა. თეთრაძისგან სამშობლოს მოღალატის იმიჯის შექმნა სურდათ, როგორც შავაძისგან, რომელიც ერაყიდან ჩამოიყვანეს, შემდგომ ავტომატის ჯერით გადაჭრეს, მანამდე კი აწამეს. ორივე შემთხვევაში, მსგავსი მსხვერპლები სჭირდებოდათ. მათ შორის, ცინდელიანიც. წაგებული ომის საკითხებთან დაკავშირებით, ხელი ვინმესთვის ხომ უნდა შეეწმინდა თ. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების საბოლოო შედეგი ტოტალური ღალატია, რაც სათავეს არმიის რიგებიდან იღებდა. ამიტომ, სასურველი კანდიდატებიდან სამშობლოს მოღალატეების შექმნა, უმოწყალო ანგარიშსწორება დაიწყეს, რათა სასურველი ჩვენებები მიეღოთ. დახვრეტის მიზეზიც ეს იყო. მაგრამ გადა-





აწყდნენ ისეთ ვაჟკაც ადამიანს, როგორიც თეთრაძე გახლდათ და ვერაფრით გატეხეს. ის ამბობდა: სამშობლოს ღალატის გარდა, ნებისმიერ რამეს დავიბრალებო. თეთრაძის მკვლელობის ყველა დეტალი ვიცი. ისიც ვიცი: ამ ადამიანს რომელ საათზე, რა ძალის გამოყენებით, რა მეთოდით და როგორ გაუხეთქეს გული. დეტალებისგან თავს შევიკავებ. ამ ადამიანებს, მხოლოდ, თეთრაძის წამებით მკვლელობის გამო ეკუთვნით უვადო პატიმრობა. ბუნებრივია, ამაში მარტო აღმსრულებლებს არ ვგულისხმობ. თეთრაძის წამებას პირველი ცე კორპუსის მთელი პატიმართა შემადგენლობა უყურებდა. იმიტომ, რომ ეს ადმინისტრაციული კორპუსის სარდაფში ხდებოდა. გამოძიებამ იცის ასჯერ მეტი, ვიდრე მე. ავიღოთ, იგივე, ბესო ხარძიანის მიმართ განხორციელებული რეპრესიები, რაც მას ციხეში მოუწყვეს. პირველად გვესმის, რომ სანოტარო აქტის შესრულება ღამის სამ საათზე მოხდა?! ხარძიანს კუს ტბის მთელი კომპლექსი შუაღამეზე სხვისთვის გადააფორმებინეს! სად არის ის ნოტარიუსი, ვინც ეს დოკუმენტი გააფორმა?! სად არის „თიბი-სი ბანკის“ და „საქართველოს ბანკის“ პასუხისმგებლობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, როცა კრედიტების გაცემა ხდებოდა?! — როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბანკებს იყენებდნენ იმისთვის, რომ სასურველი თანხები კონკრეტული ბიზნესმენებისგან სასურველ დროს მიეღოთ. ბიზნესმენ ვალერი შოშიაშვილის მაგალითი, ზემოთ გიამბეთ. ეს დანერგილი პრაქტიკა იყო. აქ, ლაპარაკია სისტემურ დანაშაულზე, რასაც 1937 წლის სტატუსი ჰქონდა. დიახ, 1937 წელი სააკაშვილის მმართველობის მთელი 9 წლის მანძილზე გაგრძელდა. ამ 9 წლის პერიოდში 20 ათასი ადამიანი გაატყავეს.

იცით, რა მითხრა ერთ-ერთი სატელევიზიო დებატების დროს ნიკანორ მელიამ? — თქვენ რომ პარლამენტში შეხვედით, მე, „ნაცმოძრაობაში“ იმიტომ წავედი, დავკარგე იმის იმედი, რომ ოპოზიცია მონოლითური იქნებოდაო. თორემ, მანამდე 2007 წლის 7 ნოემბერს ხალხთან ერთად, ნაცების წინააღმდეგ, ქუჩაში ვიდექიო. წარმოიდგინეთ, ნიკანორ მელიამ ეს განცხადება პოლიტიკურ დებატებში გააკეთა. ნაცების ოპონენტი იყო და მათი წევრი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციის რწმენა დაკარგა. კრიმინალურ ქეისებზე პასუხგაუცემლობით, ხე-



ლისუფლება დაუსჯელობის სინდრომს ახალისებს.

**— წინა ინტერვიუში მიშას გათავისუფლების შესაძლო ვარიანტებზე ვისაუბრეთ. რამდენად შესაძლებელია როგორც უკრაინის მოქალაქემ, სასჯელი სწორედ იქ, მოიხადოს?**

— ნებისმიერი ახალი საქმის აღძვრაზე, ექსტრადირების შანსები ძალიან მცირდება. თუმცა, ყველაფერი პოლიტიკური გარიგების საგანია. არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც ეტაპზე სააკაშვილის საქართველოში ყოფნა მძიმე ტვირთი აღმოჩნდეს. შედეგად, ხელისუფლება დასავლელი ფასილიტატორების გზით უკრაინას გაურიგდება და მიშას ექსტრადირება მოხდება. მაგრამ ეს მალე არ იქნება, რადგან ბევრი დანაშაულია გამოსაძიებელი.

**— რა ეტაპზეა, დღეს, ქართულ- რუსული ურთიერთობები?**

— ცოტა ხნის წინ გროზნოში კონფერენცია ჩატარდა, სადაც მეც ვმონაწილეობდი. საკითხი ეხებოდა რეგიონალური თანამშრომლობის პლატფორმის იდეის განხილვას 3+3 ფორმულით. მასში ყველა



დარგის სპეციალისტი მონაწილეობდა. 3+3 ფორმატში საქართველოს მონაწილეობა უნიკალური შესაძლებლობაა. ჩვენ, არავინ გვეუბნება, რომ დასავლეთთან ურთიერთობაზე უარი უნდა ვთქვათ. პირიქით, აქ, დევს პირობა, რომ საქართველომ გეო-პოლიტიკურ ცენტრებს შორის მყარი ხიდის ფუნქცია უნდა შეასრულოს. საქართველოსა და რუსეთს შორის დახშული დერეფნების აღდგენის პერსპექტივა, მნიშვნელოვანია. ეს არის ჟანგბადი ჩვენი ეკონომიკისთვის. ვიღაცას დეოკუპაცია არ აწყობს. არც ის, რომ საქართველო აქ მცხოვრები ერების ჰარმონიის შესაკრებელი იყოს. დასავლეთში არსებობენ ძალები, რომლებიც დიპლომატიაში ღიად არ ერევიან, არამედ ეს ყველაფე-

რი სამხედრო რიტორიკაშია თავმოყრილი. ვიღაცის ინტერესშია, რომ 40 მილიონიანი უკრაინა 140 მილიონიან რუსეთს დაუპირისპიროს. ღმერთმა დაიფაროს, იქ, ომი ატყდეს იმიტომ, რომ შემდეგი, უკვე, ჩვენ, ვიქნებით. ახლა თუ საქართველოში სტაგნაციაა, ხვალ, ამ ყველაფერს, საომარი ქაოსი დაემატება.

**— ცოტა ხნის წინ, პუტინისა და ბაიდენის სატელეფონო დიალოგი შედგა, თუმცა, საქართველო არავის უხსენებია. რადარებიდან ჩვენი გაქრობა რაზე მიუთითებს?**

— დიახ, როგორც ჟენევაში შეხვედრის დროს, ისე სატელეფონო დიალოგისას, საქართველო ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს არ უხსენებია. რუსეთი რომ არ გვახსენებდა, ეს ცხადია. მაგრამ მაღალი რანგის შეხვედრებზე, სავალდებულოა, ქვეყანა სწორედ დასავლური მხარდაჭერით სარგებლობდეს და რადარებზე ჩანდეს როგორც ოკუპირებული და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მომლოდინე. არაღიარების პოლიტიკა სხვა არაფერია თუარა, მსგავს შეხვედრებზე სა-



ქართველოს ხსენება. აბა, რად გვინდა ისეთი სტრატეგიული პარტნიორობა და ქარტია, რომელსაც აგვისტოს მოვლენებიდან მალევე მოეწერა ხელი, თუკი ეს გაჯერებული არ იქნება პირდაპირი ინვესტიციებით, მხარდაჭერით ან ამ დონის შეხვედრებზე დღის წესრიგში ჩვენი საკითხის შეტანი თ. გამოდის, რომ გაცვლითი მონეტის ფუნქციას ვასრულებთ და არა სუვერენული სახელმწიფოს უფლებების დაკმაყოფილებისთვის ვიბრძვით. გასაკვირი არაა, რომ ამ შეხვედრაზე არცერთი წუთი არ დაგვითმეს. ხელისუფლებამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24







# მტრები

## ვიცინი, აღარ ვსტირი მე

ისინი მტრები არიან. სადაც არ უნდა იყვნენ, მავნებლობენ, სიტუაციას ურევენ, სამნიც რომ მოგროვდნენ, „გამიშვი, დამიჭი“-ს იმიტაციას ქმნიან. მიუხედავად იმისა, რომ ბელადის შემოპარვის შემდეგ მთლად დაიჩუტნენ, მაინც იბრიქებიან. ასეთია „ნეოკამსამოლების“ ბუნება – მერე რა, რომ არაფრის ტრაკი არ გაქვს, მაინც უნდა წარმოაჩინო, რომ ყოვლისშემძლე ხარ, ენა ყოველთვის მხარზე უნდა გქონდეს გადებული, არ აქვს მნიშვნელობა, რას ილაპარაკებ და ექნება თუ არა „ლოღიკა“ შენს ნათქვამს. თუ არ ექნება, უფრო უკეთესი, აგერ, ბელადი იძახის, დასავლეთში (ევროპაში, და არა საქართველოში) ჯორჯ ვაშინგტონს მეძახიანო. თავის დროზე დემოკრატიის შუქურასაც ეძახდნენ. შორს წაგვიყვანს მაგათ განათლებაზე ლაპარაკი, იყო დრო, მითიც კი შექმნეს, რომელმაც კარგახნით „იმუშავა“, აზრობრივად დაბალ ფენებში კი დღესაც აქვს ფესვები გადგმული. ადრე ხშირად მესმოდა – კი, ესენი ხალხს არ აწვალებენ, არ აწამებენ, არ ატერორებენ, მაგრამ ისინი უფრო განათლებულები იყვნენო. განათლებულები კი არა, ამათნაირი დებილი არავინ მინახავს. ვიმეორებ, ეს იყო მხოლოდ მითი. ამიტომაცაა, ძალაუფლება რომ გამოეცალათ ხელიდან, ხან აღმაშენებლობას იბრალებენ, ხან კიდევ „ჟ’ანა დ’არკობას“. არც მეფე დავითის ბიოგრაფია იციან ხეირიანად, არც ჟანა დარკისა, ბელადი საფრანგეთში გვარის რანგად აღიარებულ „დ“-ს სახელის წინაც წერს, უცნაურ წარმონაქმნ ანა წითლიძეს ბარათს უგზავნის, შენ ნამდვილი ჟ’ანა დ’არკი ხარო. რაკი ბელადმა ასე დაწერა, ესე იგი, ასეა საჭირო, მან ყველაფერი იცის, მისი ჩიქორთული ქართული და ბატიფეხური კალიგრაფიაც კი გენიოსურია, ღვთიურია. თვით მიხოც ღვთისგან არის მოვლენილი, მას ზებუნებრივი გამოვლინებები აქვს – აბა, სად გაგონილა, ჩვეულებრივ ადამიანს 60 დღემდე ეშიმშილოს და არაფერი დამართნოდეს? პირიქით, გასუქებულიყოს? მას ჯერ არ უცდია, თორემ წყალზეც გაივლის. მხოლოდ წყალზე? ამბობენ, ბეჭები ეფხანება, უთუოდ ფრთები ამოსდის, შეიძლება გაფრინდეს კიდევაცო. სჯერათ, კაცო, მაგისიანებს, სჯერათ!

ვიცინი, აღარ ვსტირი მე... აბა, როგორ არ ვიცინო, როცა „გალიაში“ მჯდომ მიხოს თავი ისევ პრეზიდენტი ჰგონია და ტიტულებსაც კი არიგებს – ზოგს „დ’არკობა“ უბოძა, ზოგს – „მაია წყნეთლობა“, ზოგს კიდევ „ქეთევნობა“. ამიტომაც თქვა სასამართლოზე, აქ თქვენ უსაქმურები ხართ, მე ამდენი დრო არ მაქვს, ჯერ ერთი, უკრაინაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა მიკავია, მეორეც – რეგიონული ლიდერი ვარ, მესამეც – საქართველოს უნდა მივხედო, დეოლიგარქიზაციის გეგმაზე ვმუშაობო. ის აღარ უთქვამს, ტიტულების კომიტეტშიც ვმუშაობ მაღალ თანამდებობაზეო, უბრალოდ აღარ შეგვახსენა, თავმდაბლობამ გადასძალა.

„ნაცი“ ერთია, მას აუცილებლად შუბლის ძარღვი უნდა ჰქონდეს გაწყვეტილი. ეს ფაქტორი ჯიშში, ჯილაგსა და გენეტიკაში აქვთ გადასული. ბოლო დროს გაიშალნენ, ზოგმა ევროპიელობა დაიბრალა, ზოგმა – „ლელოობა“, ზოგმა – „გირჩობა“, ზოგმა – გახარიას ე.წ. პარტიას შეაფარა თავი. რაც არ უნდა დაირქვა, აზრი არ აქვს, „ნაცი“ მაინც „ნაცია“, ის თავხედობით, ულოგიკო



მსჯელობით და არაადეკვატური საქციელით იცნობა. აი, მაგალითად, ხომ გამოვიდა პოლიტიკურ „ასპარეზზე“ მამუკა ხაზარაძე, ხომ დახარჯა რამდენიმე მილიონი, პარლამენტში რომ მოხვედრილიყო? დიახ, ასე იყო, მაგრამ ერთ დღესაც გამოგვეცხადა და გვახარა, დეპუტატობას თავს ვანებებო. ასეთ რამეს „ნაციონალის“ მეტი არავინ გააკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანი ბალღი აღარ არი, მაინც ვერ დალაგდა, ვერ მოუყარა თავი თანმიმდევრულ იდეოლოგიას, ხან წაითინეიჯერა, ხან მეტროსთან იმღერა (დაამტკიცა, რომ ამ მხრივაც ყრუა), ხან ბავშვების მომვლელად გაიჩითა (სარეკლამო რგოლში), ხან თავის სოფელში ჩავიდა და იქიდან „გვემარიაჟა“, აქ გავიზარდე, აქ ავიდგი ფეხი, აქ ჩაეყარა საფუძველი ჩემი გაადამიანების პროცესსო. ისე დაიწყო თხრობა, გეგონება აკაკი წერეთელი იყო. შეიძლება არც „ნაცების“ პარტიაში იყო, არც მათთან მუშაობდე, არც თათბირებს ესწრებოდე, არც აქციებზე დარბოდე, არც აგიტატორობდე, მაგრამ მაინც „ნაცი“ იყო, სწორედ ამიტომ მოვიყვანე მამუკა ხაზარაძის მაგალითი – რა „ლელო“, რის „პელო“, პირწავარდნილი „ნაცია“, პალტოწამოსხმული, ფარული, ვირეშმაკული... შეხედეთ „ჭუტავიზიას“, მაგას მამალი „ნაცის“ მეტი ვინ დააფინანსებს?

ესენი მტრები არიან, მავნებლები, თანაც უტვინოები, არც ავტორიტეტი იციან, არც დამსახურება, არც წარსული, არც მომავალი, ყველას ეტოლებიან, ყველას ლანძღავენ, ყველას შეურაცხყოფენ, სადაც არ უნდა იყვნენ, იმუქრებიან, რა საქმეზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ, პრეტენზიები აქვთ. ბელადი ჰყავთ ასეთი და თვითონაც ასეთებად ჩამოყალიბდნენ. დათვს თავში უბანგუნებდნენ და კითხულობდა, ხმა საიდან მოდისო? მაგათი ბელადიც ასეა, ყოველდღე ეუბნებიან, პატიმარი ხარ, დაგიჭირეთო და ეს იძახის, დრო არ მაქვს, მეჩქარებაო. მისმა ექიმებმა ახალი ტერმინი მოიფიქრეს, ჩვენს პაციენტს ფარმაკოლოგიურად აწამებენო, რაღაცნაირ წამლებს აძლევენო. ეგენიც „ნაცები“ არიან და რასაკვირველია, ანალოგიურადაც აზროვნებენ.

პარასკევ საღამოს, ამა წლის 10 დეკემბერს, ისევ გამოიმასქნდა ნიკო ექიმი მიხოს პალატიდან და განაცხადა, ასე აღელვებული პრეზიდენტი აქამდე არ მინახავს, მას ციხეში საჯდომად არ სცალიაო. ნიკო ექიმიც... როგორ გითხრათ, ტიპიური „ნაცია“ ქცევით, მანერებით, აზროვნებით, ულოგიკობით და რამე-რუმეებით. არ დაიჯერებთ, ის 2012–2016 წლებში იყო პარლამენტის წევრი, ანუ იყო პოლიტიკოსი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ (როგორც ამბობენ), რომ 2006 წელს, რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორობის პერიოდში ფონდ „ქართუს“ მიერ რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 50 მილიონი ლარი სადღაც წაიღო და შემდეგ გამოაცხადა, რეაბილიტაცია ვერ მოხერხდა, ფული არ გვეყოო, პირწავარდნილი თაღლითია. იმასაც ამბობენ, ამ ლოთს პაციენტი შემოაკვდა და რესპუბლიკურიდან ამიტომაც წავიდა, შემდეგ კი ქვეყნიდან გაქცეული მიხომ მოაბრუნაო.

ისინი სადაც არ უნდა წავიდნენ, იქიდანაც კი მტრობენ ამ ქვეყანას. აქ უნდა დამეწერა, იქიდანაც კი მტრობრენ საკუთარ ქვეყანას-მეთქი. რა „საკუთარს“? სად აქვთ ამ გაქსუებულებს სამშობლო და ქვეყანა? ყველას და ყველაფერს თავიანთი საჭვრეტელიდან უყურებენ – არაადეკვატურად, თავხედურად.

ამ დღეებში თბილისის საკრებულოში დედაქალაქის მთავრობა დაამტკიცეს, კახა კალაძემ წარადგინა.ე.წ. ოპოზიციონრებმა აიშვეს, კალაძეს კორუმპირებული ეძახეს, ვინმე ნადირაძე ჰყავთ „ნაციონალებს“, ლევან ხაბეიშვილისგან ვერ განასხვავებთ, ტყუპისცალი გეგონებათ, იმას მხარი „ლელოელმა“ ბუა საბაძემაც აუბა, საბა ბუაძემაც და მაგრად გაუბერეს. ბიჭო, ბუა ხარ თუ საბა, საკრებულოს წევრი გახდი, პირველ სხდომაზე მიხვედი, ფეხი ხეირიანად არც კი გაქვს შედგმული და რა იცი, კალაძემ რამდენი მოიპარა, ან საერთოდ მოიპარა თუ არა? ვინმე ნადირაძემ, ხაბეიშვილის ტყუპისცალმა მთლად გადაიფსა თავზე, ბატონო კახა, აწი კიდევ რამდენის მოპარვას აპირებთო? თბილისის მერმა ვეღარ მოითმინა, თქვენ კოლექტიური მეგის ქარდავა ხართო. ოპაააა, აქ უკვე მეგის ქარდავამ იუკადრისა – რასაა, რომ მიბედავთ, ვისაა, რომ უბედავთო? ადგა და „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერილი „გამოაცხო“ (სტილი დაცულია):

„კალხა“

ვისაც ფულის გამო გაშიშვლება (სხვა ბევრი რამე) შეუძლია, მისთვის გაუგებარია ისეთი მცნება როგორიცაა: „ქვეყნის ინტერესები“ და დღეს „კიკუები“ თამამად ლაპარაკობთ მეგის ქარდავაზე, მაგრამ დადგება დრო, როდესაც: „რასაც დათესავ იმას მოიმკი“.

ესე იგი, მეგისა ელაპარაკება კალაძეს ქვეყნის ინტერესებზე და თან ემუქრება, დადგება დრო, რასაც დათესავ, იმას მოიმკიო.

კახას ედავება ქვეყნის ინტერესებზე, კაცო, კალაძეს, განა სხვა ვინმეს? განა თავისნაირ ბოგანოს?!

ეს ის არი, თავისიანებიც რომ ვერ/არ ცნობენ, თავისიანებმაც რომ უარყვეს!

აბა, როგორ არ გამეცინოს?

მწამებელი მეგისა ამათ მიმართავს, კალაძემ შეურაცხყოფა მომაყენა, გული მატკინა, თქვენ გახარებას, ერთი საერთაშორისო შეფასება გამიკეთეთო: **US Embassy** თბილისი, **Georgia Nino Lomjaria, European Union in Georgia,** ტელეკომპანია „პირველი“, „მთავარი არხი“, **NEWS.On.ge, ODISHI TV**, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო.

მე ის მიკვირს, მეგისი თავისი ბელადივით რამე-რუმეებს რატომ არ ითხოვს? მაგალითად, ფაფებს, სეირნობას, თავისუფლებას, ორ ცალ ლეიბს, სამ ცალ ბალიშს... თუ მის უარმყოფელ მიხოს ყველაფერი ეკუთვნის, ამას არაფერი ეკუთვნის? საინტერესოა, მეგისს აქვს ტელევიზორი? თუ არ აქვს, რატომ არ აქვს, რა, იმაზე მეტი დანაშაული ჩაიდინა? რა, იმას უფრო მეტი ავკაცობა არ აქვს ჩადენილი? ამიხსენით, რატომ არ შეიქმნა ამასთან დაკავშირებით კონსილიუმი, რატომ არ შედის მასთან დღეში 5–10 გზააბნეული? რატომ არ ატარებინებენ მეგისს საკუთარ საკანში თათბირებს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით? რა, გამოცდილება არ აქვს თუ შესაბამისი განათლება? ეგ რომ ადამიანს გააშიშვლებს და „დუბინკით“ „გამოკვლევებულობას“ ჩაუტარებს, ისე სხვა ჩაუტარებს? რა თქმა უნდა, ვერა!

ესე იგი, ამ ნაქორალ და ნაქარალ საქართველოს მტრის მეტი რა ჰყოლია, საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გვქონდა გამონათებასავით და მაშინაც იმის ხარჯზე, რომ მეფე დავით აღმაშენებელმა ამათნაირი მოღალატეები სარებზე ჩამოაცვა. როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი დღესაც არ არსებობს, მაგრამ ვერ იზამ, დღეს დემოკრატიაა, სხვა დროა, სარზე ჩამოცმა აკრძალულია.

მიხოს ექიმმა, ჩემ პაციენტს ციხეში საჯდომად არ სცალიაო. ჰა, ჰა, ჰა... ეჩქარება, დროზე გაუშვით უკრაინაში, ქვეყანა უპატრონოდაა მიტოვებული, მალე პუტინი დაეპატრონებაო.

ისე, ამას წინებზე ცხონებული ავლიპის შვილი რომ იყო შესული მიხოსთან, ჯერ ნიკო ექიმი არ შეამოწმა? რავი, ჩახედოს თვალებში, იქნებ მთავარი ინფორმაცია იქიდან უფრო ამოიღოს?

იცინეთ, ჩემო მკითხველებო, იცინეთ, სხვაც რომ არა იყოს, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# კაცი-ფეიკი, ანუ სააკაშვილის კიმჩენიზაცია

## საქართველოს მოსახლეობის ნაწილი მენტალურად ჩრდილოეთ კორეაში ცხოვრობს

ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, კია ნათქვამი, მაგრამ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ ტყუილებს ისეთი გრძელი ფეხები აღმოაჩნდათ, თვრამეტი წელია, გაშლილი ნაბიჯებით მოალაჯებენ ქართული პოლიტიკის თემშარაზე და უკან მათი ტყუილებით გონებადაბინდული და გონებაარეული ადამიანების მრავალრიცხოვანი ლაშქარი მოსდევთ.

თურმე შესაძლებელია, ადამიანებს ისეთი სპექტაკლი დაუდგა, სადაც ყველაფერი ყალბია და ტყუილია, მაგრამ აუდიტორია დაარწმუნო, რომ ეს სიყალბე და ტყუილი ის სიმართლეა, რომლისთვისაც უნდა იბრძოლო და რომელსაც, თუ საჭირო იქნება, უნდა შეეწირო კიდევაც.

მთავარი ტყუილი, რომელსაც მერე ტყუილების უწყვეტი ციკლი მოჰყვა, „ვარდების რევოლუცია“ იყო, რომელიც სახალხო რევოლუციად გასაღდა, მაგრამ, სინამდვილეში, ეს რევოლუცია სხვა არაფერი იყო, თუ არა სასახლის კარის გადატრიალება, რომელსაც მაღალი თანამდებობის პირები ხელმძღვანელობდნენ.



„რევოლუციის“ გამარჯვების შემდეგ, გადატრიალების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მიხეილ სააკაშვილმა, სულ მალე გზიდან ჩამოიცილა გადატრიალების თითქმის ყველა აქტიური მონაწილე, მათ შორის მთავარი პოლიტიკური ფიგურები, ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, ამუხრუჭებდნენ ახლადგამოჩეკილი „ბელადის“ შიზოიდურ გამოხტომებს.

პოლიტპარტნიორებისგან გათავისუფლების შემდეგ, ადრე დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, სამართლიანობაზე და პატიოსნებაზე მოღაღადე „ჰუმანისტის“ ნაცვლად ხელთ შეგვრჩა კაცი-ფეიკი, კაცი-პროფესიონალი მატყუარა, ტროცკის, ნათელაშვილის და არსენა ოძელაშვილის უცნაური ნაზავი, ავანტურისტი, დიქტატორისა და ავტორიტარის თვისებებით, ფსიქოპათი, სადისტური და მანიაკალური გადახრებით, რომელმაც სისხლის ტბები დააყენა საქართველოში და ასიათასობით ადამიანს ცხოვრება ჯოჯოხეთად და კოშმარად უქცია.




●

საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი საქართველოში კი არა, მენტალურად ჩრდილოეთ კორეაში ცხოვრობს.

მოსახლეობის ამ ნაწილს სააკაშვილის კიმჩენიზაცია გადაუწყვეტია და ქუჩებსა და მოედნებს მოდებული ხმამაღალი შეძახილებით, ტაშით და ოვაციებით გამოხატავს თავის ღრმად ქვეშევრდომულ მორჩილებას, სიყვარულსა და ერთგულებას ერის მამისა და მასწავლებლისადმი.

სიმაღლეში გაზრდილი ქართველი „კიმი“, მიშა, ბოროტ ძალებს ჯურღმულებში გამოუკეტავთ და საყვარელ ხალხთან ჩახუტების და მოფერების საშუალებას არ აძლევენ, რის გამოც კიმჩენიზებული მიშა შიმშილობს და ფაფისა და წვენების გარდა პირს არაფერს არ აკარებს.

ამასობაში, მიშას თაყვანისმცემლები, მის სადიდებელ ახალ-ახალ ეპითეტებს იგონებენ და მისი ღვთაებრივი ბუნების, მისი საოცარი კეთილშობილური ხასიათის და მისი არაჩვეულებრივი, ფაქტობრივად, ზებუნებრივი თვისებების შესახებ გულისამაჩუყებელ ისტორიებს თხზავენ და მიტინგებზე და აქციებზე ზეპირსიტყვიერად ავრცელებენ, მერე კი ხალხში გაბნეულ ამ თვალმარგალიტებს მიშას ჯიბის ტელევიზიები კრეფენ და ფართო აუდიტორიას აცნობენ.

მიშა ღვთის რჩეულია, რომელსაც 50 დღის შიმშილობის შემდეგაც იმდენი ძალა და ენერგია აქვს, რომ შეუძლია ათ კაცს გაუძალიანდეს, ასეთი რამ კი მხოლოდ ღვთის რჩეულს ძალუძს.

მიშა ყვავ-ყორნებთან მეომარი დაჭრილი არწივია (ოღონდ არ აზუსტებენ, სად არის დაჭრილი), რომელზეც ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ ას ოცდაათი წლის წინათ წერდა: „არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა“-ო. ცხადია, ვაჟა აქ გლდანის მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში ნანახ მიშას „ომს“ აღწერს).

მიშა კეთილია, მიშა გულჩვილია, მიშა გულისხმიერია.

მიშას ფენომენალური მახსოვრობა აქვს და, ყველა და ყველაფერი ახსოვს, მაგრამ არ ახსოვს ქუჩაში ჩახოცილი ადამიანები, არ ახსოვს ნაწამები პატიმრები, არ ახსოვს ციხეებში ჩაყრილი ათიათასობით მოქალაქე, არ ახსოვს 300 000 პრობაციონერი, არ ახსოვს კოდორი, არ ახსოვს სამაჩაბლო, არ ახსოვს, როგორ ფორთხავდა მიწაზე და როგორ ღეჭავდა ჰალსტუხს. ასეთი წვრილმანები არ ახსოვს, სამაგიეროდ, ახსოვს პელო ბებო, რომელმაც ფანდურზე უმღერა: მიშა, შენ მზე ხარ ამომავალი.

მზის გახსენებაზე უნდა ვთქვათ: მიშა მზეა, რომელმაც უნდა გაფანტოს და გაანათოს ბნელი და უკუნი და ივერია გააბრწყინოს.

მიშა მამაცია, მიშა გულადია, მიშა უშიშარია, რომელიც მარტოდმარტო შეება ოკუპანტთა ურდოს და როცა მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო, საკუთარ ჯარს და გიგი უგულავასაც კი გამოასწრო ბრძოლის ველიდან.

ასეთია მიშა, ახალი კერპი, ახალი ბომონი, „ჩრდილოეთკორეელი“ ქართველების მიერ შეკოწიწებული და შეთითხნილი კაცი-ფეიკი, კაცი-„ვოზდუხი“, კაცი-ქიმერა, კაცი-მირაჟი.

დაემხეთ მის ფერხთით, აულოკეთ სისხლით მოსვრილი ხელები, უმღერეთ „მიშა მაგარია“, ხოლო, როცა ეს „მაგარი მიშა“ თავზე დაგაფსამთ, განგებას მადლობა შესწირეთ, რომ ამდენი ხნის გვალვის შემდეგ, როგორც იქნა, ნანატრი წვიმა მოვიდა...

ფუჰ, თქვენი, თქვე მშიერმუცელა მონებო!

**დავით ქავთარია**

# ვინ არის გია ლორთქიფანიძე – არასასურველი ადამიანების „გაქრობის“ სპეციალისტი?



2016 წელს ინტერვიუ ჩავწერე ოდესელ ქალბატონთან, რომელიც იმ პორტში მუშაობდა რომლიდანაც სააკაშვილმა ყველა თანამშრომელი გაყარა და მისი ერთგული კადრები მოყარა. პორტს, მისი მტკიცებით სააკაშვილის ბანდა ტონობით ნარკოტიკის და იარაღის გადასაზიდად აქტიურად იყენებდა. ჩემ რესპონდენტს გვარიანად ეშინოდა ლორთქიფანიძის და მეუბნებოდა შენ კიდე არ იცი რა საშიში კრიმინალიაო. ბინესმენი რომელმაც მას ქონება არ დაუთმო და არც სოლიდური თანხა გადაუხადა ნაწამები უპოვნიათ, სამი დღის ძებნის შემდეგ. ოდესელი ქალბატონი, საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული გია ლორთქიფანიძის კრიმინალური წარსულის და აწმყოს შესახებ. აი, რა მიამბო მან. — სამწუხარო ის არის, რომ გამოსავალი არ ჩანს, არც უკეთესი მომავლის იმედი გვაქვს. სააკაშვილი მარტო არ არის, მისი თანამოაზრეები უკრაინის პრეზიდენტი და მაღალი ეშელონების სხვა წარმომადგენლებიც არიან. დასავლელი მფარველები კი როგორც ჩანს მის გაწირვას არ აპირებენ. უკრაინას და მის მოსახლეობას კი მხოლოდ უფლის იმედი აქვთ..

ნუთუ არ არსებობს ძალა ოდესაში, ვინც სააკაშვილს წინააღმდეგობას გაუწევს.?

ოდესის გუბერნატორი პრეზიდენტმა დანიშნა, ქალაქის მერის თანამდებობა მოგეხსენებათ არჩევითია. სააკაშვილს სურდა ოდესის მერად საშა ბოროვიკი აერჩიათ, იგი მიზნის მისაღწევად კანონით აკრძალულ არაერთ ხერხს მიმართავდა, ქალაქში წინასაარჩევნოდ საშასთან ერთად ხვდებოდა მოსახლეობას, ყველა ღობეს და ყველა ბილბორდს მიშას და საშას ერთად გადაღებული ფოტოები „ამშვენებდა“. ერთ-ერთ შეხვედრაზე საშა ცდილობდა ხალხთან ახლოს მისულიყო და რამოდენიმე მამაკაცს მიმართა -მეც თქვენნაირი ვარ ახლოს მოდითო-ერთ-ერთმა უპასუხა ღმერთმა დამიფაროს შენსავით გეი ვიყო, ფუ შენიო და გაეცალა. მოკლედ ოდესამ არჩევანი მიშას კანდიდატზე არ შეაჩერა. გუბერნატორმა ხალხს ალექსანდრე ბოროვიკი, საშად წარუდგინა



შა გამოცხადდა სესიაზე, სიტყვით გამოსვლისას მან, ქალაქში არსებული სიტუაცია კრიტიკულად შეაფასა და პრაქტიკულად, ოპოზიციური საქმიანობის დაწყება დააანონსა.

ქალაქის მერიც მიშას სიტყვებით გალანძღა, კრიმინალი, კორუმპირებული უწოდა... საზოგადოებას მოუწოდა გადაეყენებიათ მერი და ის დაენიშნათ, რასაკვირველია მას როგორც არანორმალურს დასცინეს, შემდეგ დარბაზიდან ერთ-ერთმა დეპუტატმა ხელში აყვანილი გაიყვანა თაიგულიც ჩააჩუტა, შენობის გარეთ

თან ტყუილი, რომ იგი დაიბადა და გაიზარდა ოდესაში სახელდახელოდ გამოაცხო მის „გმირულ წარსულთან“ ერთად. ჟურნალისტებმა გადაამოწმეს მიშას ზღაპარი და ბოროვიკს მითითებულ რაიონში არც არასდროს უცხოვრია და არც არავინ იცნობდა მის გმირულ წარსულზე კი ეღიმებოდათ. მიშა და ბოროვიკი პროვოკაციების მოწყობასაც არ ერიდებოდნენ მეტიც, მაიდნის გმირებიც დააპირისპირეს გენადი ტრუხანოვს. რომელიც ოდესელებმა მერად აირჩიეს. წაგებას მიშა ვერ შეეგუა და ხალხის მიერ არჩეული მერის შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებდა, ადგილი ჰქონდა „საქმის ქუჩურ გარჩევებსაც“... ბოროვიკი მიშას მხარდაჭერით ქალაქის საბჭოს დეპუტატი გახდა, თუმცა არც სხდომებზე ცხადდებოდა და არც სესიაზე, არც ამომრჩევლებს ხვდებოდა. ოთხი თვის შემდეგ საგააგდო და კარებიც მიუხურა. აღნიშნულ ქმედებას დარბაზი ტაშით და ოვაციებით შეხვდა. მოკლედ საშა გაბანძდა და ისევ მოუხმო დასახმარებლად მაიდნის გმირებს, რომლებიც ქალაქის საბჭოს შენობასთან საპროტესტო აქციის ორგანიზებაში დაეხმარნენ, არსებობს ვიდეო ჩანაწერი სადაც ნათლად ჩანს ქართველი, რომელიც ფულს უნაწილებს აქციის მონაწილეებს, ეს ქართველიც მაიდნის აქტიური წევრი გახლდად რასაც არსებული ფოტო და ვიდეო მასალა ამტკიცებს. აღნიშნულ საპროტესტო აქციას ადამიანთა მცირე ჯგუფი ესწრებოდა და წარუმატებლად ჩაიარა. სამაგიეროდ მიმდინარე წელს ორი მაისის ტრაგედიის ორი წლისთავზე, გუბერნატორმა მოახერხა და კიევიდან „ჯარი“ გამოიძახა თითქოს ოდესის პირველ პოლიციელ გიორგი ლორთქიფანიძე, შესაძლო ტერაქტების შესახებ ფლობდა ინფორმაციას. სინამდვილეში მას კატეგორიულად არ სურდა ხალხი პროფკავშირების შენობასთან მისულიყო და პატივი მიეგოთ ორ მაისს ჯერ კიდევ გამოუძიებელი ტრაგედიის გმირებისათვის. ისევ ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციის გამო დააპატიმრეს საპროტესტო აქციის ორმოცი მონაწილე, აქედან ოთხი, დღემდე პატიმრობაში რჩება...აი ასე ექცევა სააკაშვილი ქართველ „ვარიაგებთან“ ერთად ქვეყანას, რომელმაც ძებნილები შეიფარა და სამსახური მისცა, მასში წმინდა და სუფთა არაფერი არსებობს...მისი პოპულისტური განცხადებები ოდესელებს უკვე შოკში აგდებს, მაგალითად „გადავაქციოთ ოდესა 2011 წლის თბილისად“ — ოდესაში ასე იშიფრება კორუფცია მხოლოდ მიშას „კამანდაში“და ასიათასობით ადამიანი ციხეში. ქალაქის მერს რომელიც ოდესელებმა აირჩიეს მიშა თავის ხროვის დახმარებით უამრავ ბინძურ პროვოკაციას უწყობს, თავის ხმაურიან განცხადებებში ხშირად უწოდებს მას კორუმპირებულს და რუსეთის აგენტს. მიშა ავტორიტეტებს ვერ იტანს, მის ირგვლივ მხოლოდ „ჩმორი“შემსრულებლები ხარობენ.

მისი მთავარი „შემსრულებელი“ ოლქის პოლიციის უფროსი გიორგი ლორთქიფანიძე ცოფიანი რუსოფობი პიროვნებაა, სარწმუნო წყაროს ცნობით ის სამშობლოში აწამებდა განსასჯელებს და მათ აიძულებდა ეღიარებინათ, რომ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ან მთავარი სადაზვერვო სამმართველოს აგენტები იყვნენ. საპყრობილეში გადაღებულ წამებისა და გაუპატიურების ვიდეოკადრებზე მკაფიოდ მოჩანს საქართველოს შს მინისტრის მაშინდელი მოადგილის სახე. მშობლიურ ქვეყანაში ოდესის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული მისი ძმა დავით ლორთქიფანიძე კახეთის კუდის უფროსი იყო, ძმები კახეთში და კერძოდ ახმეტაში ყველა უკანონო ბიზნესს ლობირებდნენ, ურჩ ბიზნესმენებს აწიოკებდნენ, აპატიმრებდნენ და ათას სისაძაგლეს ჩადიოდნენ. ლორთქიფანიძეები წარმოშობით ახმეტიდან არიან და ამ რეგიონს ისინი „აკონტროლებდნენ“.

მიმდინარე წელს უსაფრთხოების სამსახურმა, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავა მიშას რეფორმირებული საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ქალბატონი, რომელიც პოლიციის შენობიდან ახდენდა ნარკოტიკის რეალიზაციას. გიორგი ლორთქიფანიძეს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უსაფრთხოების ხელმძღვანელობას სერიოზული პრეტენზიები წაუყენა რაც მათ არასერიოზულად მიიღეს, კერძოდ ძალიან გაბრაზებულა, რომ იგი საქმის ყურში არ ჩააყენეს წინასწარ, არადა უსაფრთხოებამ ყველა კონსპირაციული ხერხს მიმართა ინფორმაციას არ გაეჟონა, ყველა კანონის დაცვით „ატარებდნენ“ პოლიციელ გოგონას და შემდეგ ფაქტზე დააპატიმრეს. რასაკვირველია მაღალმა, გიორგის „ჩასვრილის“ სასწრაფოდ გაწმენდა მოსთხოვა. ლორთქიფანიძემ უსაფრთხოებას ამჯერად ულტიმატუმით მიმართა, გაეჟღერებიათ ინფორმაცია, რომ დაკავება უსაფრთხოების და შს სამმართველოს ერთობლივი ღონისძიებით მოხდა და ხელმძღვანელი თითქოს თვით მაღალი გახლდათ, ამ მოთხოვნამ საერთოდ გააგიჟა უსაფრთხოების უფროსი და მისმა კატეგორიულმა უარმა მაღალი! შემდეგ იწყება ლორთქიფანიძის კრიმინალური გარემოცვის ზეწოლა უსაფრთოების ხელმძღვანელობაზე. ცნობისთვის, ოდესის უსაფრთოების სამსახური საიდუმლოს სრული დაცვით სხვა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობისგან, მკაცრი კონსპირაციით გეგმავდა და ამუშავებდა ისეთ დაკავების ღონისძიებებს როგორიც გახლდათ სპეცოპერაცია – სამხედრო პროკურატურის მექრთამე თანამშრომლების გამოსავლენად, ოლქის სამხედრო კომისრის პისკუნის დაკავება, ქალაქის პოლიციის უფროსის მაკუხის







დაკავება, ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მარჩენკოს და სხვების დაკავება. საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ქალის დაკავება მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის ძალებით მოხდა. ერთი თვის განმავლობაში გატარებული ღონისძიების შედეგად და არაერთი საკონტროლო შესყიდვის დოკუმენტი შექმნეს, დაკავებული პოლიციელი ნარკოტიკის მომხმარებელიც გახლდათ!

მიხეილ სააკაშვილი ყველა დაკავების ღონისძიებაში მთავარ როლს უსინდისოდ ირგებს და მედიის საშუალებით დეზინფორმაციას ავრცელებს, არც ლორთქიფანიძეს ივიწყებს, რომ როგორმე წარმოაჩინოს, რადგან გიორგი მხოლოდ სხვა „სამსახურშია“ მარდი. მაგალითად, დაპატიმრებული ჟურნალისტის არტემ ბუზილის მხარდასაჭერად მშვიდობიან აქცია ლორთქიფანიძის ნიღბიან, დუბინკიანმა მხეცებმა დაარბიეს, უმოწყალოდ ცემეს ხალხი, ეს ხელწერა ვისაც ეკუთვნის ყველამ კარგად იცოდა და ისიც თუ რა დონის გარეწარი გახლდათ ის საქართველოში. კგბ ში მოღვაწეობიდან ოდესის პოლიციის უფროსობამდე! ვარდების რევოლუციის შემდეგ როგორც ცნობილია, ს/უსაფრთხოების სამსახური და შსს გაერთიანდა. ლორთქიფანიძე არასდროს ყოფილა პოლიციელი, ის შევარდნაძის პერიოდიდან უშიშროების ხაზით მსახურობდა. რევოლუციამდე იგი ერთ-ერთი განყოფილების უფროსი გახლდათ ანტიტერორისტულ დეპარტამენტში. მისი ძმა დავითი კი აღნიშნულ პერიოდში კახეთში, ახმეტის პოლიციის უფროსი გახლდათ. ეს რაიონი ჩეჩნეთს ესაზღვრება მის შემადგენლობაში შედის პანკისიც, ქისტი და ჩეჩენი ეროვნების მოსახლეობით. ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც ჩეჩნეთში ომი მიმდინარეობდა, პანკისში გადმოდიოდნენ სამხედრო შენაერთები ჩეჩნეთიდან...ვარდების რევოლუციის შემდეგ დავით ლორთქიფანიძე კუდის უფროსის მოადგილე გახდა, ხოლო გიორგი მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. შევარდნაძის დროინდელი ძალოვნები ხმაურით გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ბევრი დააპატიმრეს მათ შორის შს მინისტრიც. ხოლო ძმები ლორთქიფანიძეები დააწინაურეს.

**— თქვენ ისეთ ინფორმაციებს ფლობთ, მაგის მიზეზიც გეცოდინებათ!**

— დიახ, ლორთქიფანიძის შს მინისტრად დანიშვნას ლობირებდა ვინმე რეზო შარანგია რომელსაც







ჩემი წყარო მიშას ჯიბის ბიზმესმენად იხსენიებდა. შარანგიას ცოლის ძმა გიორგი ყარამანაშვილი კი კიევში მაღალთან ერთად სწავლობდა. იგივე წყაროს ცნობით გიორგი ლორთქიფანიძე იგორ გიორგაძის დაცვაშიც მსახურობდა ოთხმოცდაათიან წლებში..

**—.სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ გიორგი ლორთქიფანიძის აღმაფრენას ფიქრობთ, რომ სერიოზული მიზეზი აქვს?**

— დიახ, მან კარიერა პანკისის ხეობაში ადამიანების გატაცების ინსცენირებით და შემდგომ გმირული დაბრუნებით გაიკეთა. რათქმაუნდა ამ შავ საქმეში მას ბოევიკებიც ეხმარებოდნენ. მას ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ჩეჩენ ბოევიკებთან და მეთაურებთან რომლებიც პანკისის ხეობაში იმყოფებოდნენ. თითქოს ხალხს ჩეჩნები იტაცებდნენ და ლორთქიფანიძე ათავისუფლებდა. სინამდვილეში ფულს ორივე მხარე ინაწილებდა. სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. მან სერიოზულად იმუშავა ჩეჩენ საველე მეთაურებთან, რაც არ იყო იოლი, რადგან არასდროს იცი როგორ მოიქცევიან ისინი, მაგრამ ახმეტაში ქართველების თაობები ჩეჩნებთან ერთად ცხოვრობდნენ და ასე თუ ისე კარგად უგებდნენ ერთმანეთს. ზუსტად ვიცი, რომ ლორთქიფანიძეს დღესაც აქვს კავშირები ჩეჩნების გარკვეულ ნაწილთან.

**— ეხლა მესმის რატომ არ გსურდათ თქვენი ვინაობის გამხელა!**

— დიახ, ლორთქიფანიძე ძალიან საშიში პერსონაა. ხელისუფლებისთვის არასასურველი პირების „გაქრობის“სპეციალისტი. თქვენ ქვეყანაში სააკაშვილის ზეობის პერიოდში არაერთი ოპოზიციონერი თუ არასასურველი პირის მოცილება სწორედ მის კისერზეა. ზოგი გულის შეტევით გარდაიცვალა, ავარიით, უბედური შემთხვევით, სწორედ გიორგი კურირებდა ამ საქმეს.

**— მიშა დღესაც პოლიციის რეფორმით ტრაბახობს.**

დიახ, მათ დაამყარეს წესრიგი პოლიციაში, მაგრამ თუ ღირსეულ ხელფასს გადაუხდი თანამშრომლებს სხვის ხარჯზე, მაშინ არ არის ძნელი წესრიგის დამყარება. სააკაშვილი და ლორთქიფანიძე ოდესაში ამერიკელების ნების უსიტყვო გამტარებლად დაინიშნენ. ოდესაში მოსახლეობის უმრავლესობა პრორუსულ ძალას წარმოადგენს. ოპოზიციონერების ფიზიკური ჩამოცილების სპეციალისტი კი როგორც მოგახსენეთ ლორთქიფანიძე გახლავთ. ის, როგორც ყოველთვის ჩრდილში დარჩება, უფრო მეტიც დიდი შანსია „შედეგები“ რუსეთის სპეცსამსახურებს მიაწეროს, ან ჩეჩნებს. მას ამის დიდი გამოცდილება გააჩნია. მაგალითად შამილ ბასაევის ლიკვიდაცია.

**— თქვენ ამბობთ, რომ ბასაევის ლიკვიდაცია ჩვენმა სპეცსამსახურმა უზრუნველყვეს?**

— დიახ, და ამ ოპერაციის კურატორი გია ლორთქიფანიძე გახლდათ. იყო ასეთი პერსონა ალი დაბუევი ზედმეტ სახელად „ზონა“. ის გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა საქართველოში ჰქონდა ქართული პასპორტი რომლის მიხედვითაც რუსლან პაპასკირი გახლდათ. ორი დამინული კამაზი რომელზეც ბასაევი აფეთქდა თბილისიდან გავიდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული სატვირთო ავტომანქანები 2001 წელს პანკისში ანტიტერორისტული ღონისძიების ჩატარების შემდგომ კონფისკაციას დაექვემდება და დიდხანს ანტიტერორისტული ცენტრის უკანა ეზოში იდგა. შემდეგ დაიტვირთა იარაღით რომელიც ბასაევმა ქართველისგან შეიძინა, დაიმინა და გაიგზავნა ბასაევთან სატვირთო ავტომანქანებს „ზონა“აცილებდა... მთელ ოპერაციას გია ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. მოკლედ, გიორგი თანამოაზრე ბოევიკებს იყენებდა და რიგ შემთხვევებში იცილებდა. წინასწარ ხმებსაც ყრიდა თითქოს ინფორმაციას ფლობდა, რომ რუსულ სპეცსამსახურებს სურდათ მათი მოცილება. ადამ პაბაევი — ძმები ახადოვები ურუს მარტინიდან-ს წარმომადგენელი გახლდათ საქართველოში. ჩემთვის უცნობია როგორ მოახერხე მისი დავერბოვკება ლორთქიფანიძემ, მაგრამ შემდგომ გაირკვა რომ მასზე მუშაობდა...გარკვეული დროის შემდეგ გაქრა, მისი ავტომანქანა სისხლიანი ნახეს გვამი ვერ აღმოაჩინეს...

გია ლორთქიფანიძის შემოქმედებაა, 2012 წელს ლოპოტის სკანდალური საქმე, უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებით და გვამებით, მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით, ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებისგან, კერძოდ ლორთქიფანიძის მიერ იყო ორგანიზებული. პანკისიდან ლოპოტას ხეობამდე ბოევიკებს ტრანსპორტირებას და საქართველოს საზღვრის უპრობლემოდ გადაკვეთასაც მათ ცენტრის კონკრეტული თანამშრომლები პირდებოდნენ. ამაში. „ბოევიკებს“ სერიოზული თანხა უნდა გადაეხადათ, საზღვარი კი ერთ–ერთი ლეკის დახმარებით უნდა გადაევლოთ, რომელმაც გზა ძალიან კარგად იცოდა. ლოპოტას ხეობაში ჯგუფს ადგილობრივი ახალგაზრდები შეხვდნენ. ჯგუფის წევრებმა ხუთივე ახალგაზრდას აღუთქვეს, რომ ზიანს არ მიაყენებდნენ და იმ პირობით, რომ ხეობაში მათი ყოფნის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულიყო, მათთან მანამდე უნდა დარჩენილიყვნენ, ვიდრე ისინი საქართველოს საზღვარს არ გადაკვეთდნენ. ჯგუფის წევრები ახალგაზრდებს აჭმევდნენ, და კარგად ექცეოდნენ ლოპოტას ხეობიდან დაღესტანში ჯგუფის შესაძლო გადასვლის შესახებ რუსეთის სადაზვერვო სამსახურმა გაიგო, რის გამოც დაღესტნის მხარეს საზღვართან მობილიზაცია გამოცხადდა. ამის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ჯგუფი გაენადგურებინა, რათა შემდეგ რუსეთის ხელისუფლებას საქართველო მტკიცებულებებით არ დაედანაშაულებინა ბოევიკების მფარველობაში. ჯგუფის რამდენიმე წევრმა სპეცოპერაციის დროს გაქცევა მოახერხა...ლორთქიფანიძის კრიმინალური წარსულის, კიდევ არაერთი შემოქმედების გახსენება შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია იმის გასახსენებლად ვინ იყვნენ სააკაშვილის „ერთგული“ ბიჭები. დიახ, ლორთქიფანიძის მიერ განხორციელებული იმპორტი მხოლოდ განუბაჟებელი საქონლის ადგილზე მიყვანას არ გულისხმობდა და მადლობა ჩვენი ქვეყნის „უუნარო“შსს და სუსის თანამშრომლებს, რომ დროულად, ოპერატიულად აღკვეთეს თბილისური მაიდანი რომელიც განუსაზღვრელ ზიანს მოუტანდა ქვეყანას და ხალხს!

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72



# „პატარა მამაკაცი“ დიდი ამბიციებით

## ევროპელი ფსიქიატრები მიხეილ სააკაშვილის შესახებ





2006 წელს პოლიტიკურ წრეებში გავრცელდა და შემდეგ პრესაშიც დაიბეჭდა ევროპის შვიდი ავტორიტეტული ფსიქიატრიული კლინიკის დასკვნა სააკაშვილის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ისიც დაიწერა, თითქოს ფსიქიატრებს ამ კვლევის ჩასატარებლად სოლიდური თანხა გადაუხადეს, თუმცა დღემდე უცნობია, ვინ იყო დამკვეთი. ვინც არ უნდა ყოფილიყო, ვისი ხელიც არ უნდა ერიოს, დღეს, როცა აშკარად ვხედავთ სააკაშვილის მდგომარეობას, ვისმენთ მის გიჟმაჟურ გამოხტომებს, დასკვნა გაცილებით სანდო ხდება, ვიდრე 2006-ში იყო.

კვლევის ავტორებად დასახელდნენ: ტონსბერგის (ნორვეგია) ფსიქიატრიული ცენტრი, ოსლოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი, ფინეთის ფსიქიატრიის დეპარტამენტი, კიოლნის ნერვული დაავადებების ცენტრი, ჟენევის ფსიქიატრიის დეპარტამენტი, ვენის ფსიქოანალიზისა და ფსიქოთერაპიის დეპარტამენტი და ამსტერდამის კლინიკური ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.

სხვათა შორის, 2008 წლის აგვისტოს ომამდე 2 წლით ადრე ჩატარებულ კვლევაში იმის ჩაწერა, რომ „ძალაუფლებისაკენ ლტოლვამ სააკაშვილს შეიძლება დაუკარგოს სიფრთხილე და გადაწყვეტილებები სახიფათო აღმოჩნდეს. მისგან მოსალოდნელია პრობლემების პროვოცირება, მათ შორის, პოლიტიკური და საომარი კონფლიქტიც“, გახლდათ სკანდალური პროგნოზი. წარმოგიდგენიათ? პროფესიონალმა ფსიქიატრებმა 2 წლით ადრე იწინასწარმეტყველეს, რომ სააკაშვილისგან მოსალოდნელი იყო საომარი კონფლიქტის პროვოცირება. ეს არის ძალიან მძიმე დიაგნოზი, რომელიც, სამწუხაროდ, სრული სიმართლე აღმოჩნდა.

ევროპელი ფსიქიატრების დასკვნაში არის ასეთი დიაგნოზი: „ძლიერი პარანოიდული აშლილობა, ისტერიულობა და ნარცისიზმის კომპლექსი“.

შეხედეთ, გადაჭარბებულია რამე? არა, ეს გახლავთ ზუსტი დიაგნოზი, ტიპი ხან აღმაშენებლობას იბრალებს, ახნ ჯორჯ ვაშინგტონობას, ხან კიდევ ალექსანდრე მაკედონელობას. დედამისმა გიული ალასანიამ სერიოზულად განაცხადა, ჩემი შვილი ალექსანდრე მაკედონელიაო, მაგაზე უკეთესიცო, მე ისტორიკოსი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობო. ქალბატონმა გიულიმ მაკედონელზე არაფერი იცის, ეგ ისეთი ისტორიკოსია, როგორც მე ვარ კოსმონავტი.

ევროპელმა ფსიქიატრებმა სააკაშვილის ფსიქოლოგიური კვლევა მისი ბავშვობიდან დაიწყეს და სწორედ იქ აღმოაჩინეს საინტერესო დეტალები, ანუ მიზეზები:

„რადგან სააკაშვილის მშობლები ერთად არ ცხოვრობდნენ, ბავშვი დედას მიეჯაჭვა და პატარაობისას მიღებული ემოციური ტრავმის გამო, რომელიც მამას უკავშირდებოდა, აგრესიულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მამინაცვალთან, თანატოლებისგანაც გარიყული აღმოჩნდა. ჩაკეტილი ბიჭი იყო და უჭირდა კლასელებთან ურთიერთობა. თუმცა მაღალ კლასებში ის სკოლის თეატრალურ წრეშიც იყო და წარმოდგენებშიც მონაწილეობდა. თეატრით გატაცებულმა მოზარდებმა სამოყვარულო ფილმების (მათ შორის პორნოგრაფიული შინაარსის) გადაღება დაიწყეს, რასაც სკანდალი მოჰყვა და მიხეილ სააკაშვილს თბილისის დატოვება მოუწია. ის კიევში წავიდა სასწავლებლად, თუმცა მორიგი სკანდალის (ინტიმური შეხვედრებისთვის თანაკურსელები მის ბინაში იკრიბებოდნენ) შემდეგ კომკავშირიდან გარიცხეს და ხმაური რომ ჩამცხრალიყო, ჯარში გაუშვეს. სააკაშვილი არის შინაგანად დაძაბული, ნევროზული, ეჭვიანი და ემოციურად გაუწონასწორებელი. მისი ჟესტიკულაცია, სიარულის მანერა და აღნაგობა ნორმებიდან ამოვარდნილია. უჭირს მობილიზება, თავისი გამოსვლების სწორად ორგანიზება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არასასურველ კითხვებს უსვამენ. ამ დროს იბნევა, ვრცელ, არაფრისმთქმელ ფრაზებს იშველიებს, რომლებიც შორს არის პასუხისგან. ერთი თემიდან მეორეზე გადადის. ამით ცდილობს ოპონენტის მოგერიებას და დაბნევას. როგორც ისტერიულ ტიპს, ახასიათებს სპონტანურობა და აქვს შოუმენის ნიჭი. სააკაშვილი იღებს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რისი გაგონებაც სურს. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს განდიდების მანია, მანიაკალური სინდრომი და განცდა, რომ ერთადერთი და განუმეორებელია. ბავშვობაში ჩამოყალიბებული არასრულფასოვნების კომპლექსისგან გათავისუფლებას ზრდასრულ ასაკში ცდილობდა, ამან გამოიწვია ძალაუფლებისაკენ ლტოლვა. იმდენად არის შეპყრობილი ერთადერთი სურვილით, თავი დაიმკვიდროს, რომ ანგარიშს არ უწევს საზოგადოების შეხედულებებს. როდესაც ხედავს, რომ სათანადოდ არ აფასებენ, აგრესიული ხდება. ვვარაუდობთ, რომ მომავალში ეს გამოიწვევს კონფლიქტს საზოგადოებასთან“.




კონფლიქტი კი არა, სააკაშვილმა ქართულ საზოგადოებას ისეთი რაღაცები გაუკეთა, თავი სამარადჟამოდ შეაზიზღა. როგორც სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე ამბობს, ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე დასავლეთ ევროპის რამდენიმე წამყვანი ქვეყნის ელჩი დაეჭვდა ჩვენი მთავარი სარდლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე:

„ელჩებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მკითხეს სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. მაჩვენებდნენ რუსულად ამობეჭდილ ტექსტს, რომელიც იწყებოდა იმით, რომ წამყვანმა შვიდმა ფსიქიატრიულმა კლინიკამ ევროპაში ვიღაცის დაკვეთით იმუშავა სააკაშვილის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე. ზოგადად, როდესაც ახალი ლიდერი მოდის ქვეყნის სათავეში, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები მუშაობენ ამ ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ პორტრეტზე, რაც, რა თქმა უნდა, გასაიდუმლოებულია. ცნობილი შემთხვევაა, ერთმა გამოჩენილმა ფსიქიატრმა 1940-იანი წლების დასაწყისში შეადგინა ჰიტლერის ფსიქოლოგიური პორტრეტი და ყველაფერი იწინასწარმეტყველა მისი ავანტიურა თვითმკვლელობის ჩათვლით. ეს კვლევა მაშინ საიდუმლო დოკუმენტის სახით დაიდო მოკავშირეების მაგიდაზე, მაგრამ დღეს ის საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. 2008 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოსული იყო ცნობილი დიპლომატი, რომელიც ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში იყო საქართველოში და კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანას. მან მითხრა, ვერ გეტყვით, რა დრო გავა, მაგრამ დიდი ალბათობით, თქვენი უბედური პრეზიდენტი და პისტოლეტი ერთმანეთს შეხვდებიანო“.



რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვინდა, რომ სააკაშვილი და პისტოლეტი ერთმანეთს შეხვდნენ. ჯერ ერთი, არავისი სიკვდილი არ გვსურს და მეორეც — შარია, მაგას რომ რამე მოუვიდეს, „ქართულ ოცნებას“ ათასნაირ ჭორს აუგორებენ.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი ფსიქიატრი მერილენდ ტიმოტი ვანი ამბობს, სააკაშვილის შინაგანი ენერგია გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მოზღვავებული ენერგიისა და არამდგრადი ჰორმონალური მდგომარეობის წყალობით, იგი მუდმივად დარჩება „პატარა მამაკაცად“.

რამდენიმე ფსიქიატრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააკაშვილის ამბიციები წინ უსწრებს მის ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობებს. მისი საქციელი არასდროს არაა გამოწვეული განსჯისა და დაფიქრების შედეგად, ის ემოციებსა და ახირებებზე აგებს თავის ცხოვრებას. მიხეილ სააკაშვილს აქვს დაჩაგრული და განაწყენებული კაცის სინდრომი. მძიმე სიტუაციებში მოქმედებს იმპულსურად, რადგან რაციონალურად, გააზრებულად ქმედება მას არ შეუძლია. მისი ქმედება არ შეესაბამება რეალურ ვითარებებს. არ შეუძლია, აღიაროს შეცდომები, თუმცა ყოველთვის ისეთი სახე აქვს, თითქოს რაღაცის რცხვენია. რეალურად, მორცხვი ჭაბუკის სახე მისი ნიღაბია. მისი აკანკალებული ტუჩები მიუთითებს მის ნევრასთენიულ და გაუწონასწორებელ ხასიათზე. ამის გამო ძალიან გაუჭირდება და უჭირს კიდეც ერთ ადამიანთან ცხოვრება, შეგუება ოჯახის წევრებთან... მას არ ხიბლავს ოჯახური ატმოსფერო, მისთვის დამღლელია... ზოგადად, მისთვის სიმშვიდე დამღლელია. ასეთი ტიპის ადამიანი ვერ აზროვნებს და ვერ აგებს თავის ცხოვრებას თავის აზრსა და შეხედულებებზე, მას მუდმივად კარნახობენ. მიხეილ სააკაშვილი მუდმივად წააგავს ბიჭუნას, რომელსაც არ ძალუძს, გაანალიზოს თავისი ქცევები, ელოდება, როდის მოვა ვინმე უფროსი, რომელიც მასზე უფრო ჭკვიანია და თავზე ხელს გადაუსვამს. სააკაშვილი მუდმივ შექებას საჭიროებს. მასთან ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ძალის პოზიციიდან.

როგორც ხედავთ, ევროპელი ფსიქიატრების დასკვნა ერთიერთზე ჯდება რეალობასთან, ეს გახლავთ ერთგვარი წინასწარმეტყველება და უტყუარი დიაგნოზი. რამდენიმე დღის წინ დედამისმა, გიული ალასანიამ თქვა, მიხეილს სიტყვა უკრაინაზე ჩამოვუგდე და თვალები დამიბრიალა, მე აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ სამშობლო გამოვიხსნა, ეგ მეორედ აღარ მითხრა, უკრაინაში დაბრუნებას არ ვაპირებო. ნეტავ ვინ უშვებს, თორემ კიევისკენ უკანმოუხედავად გაჰქუსლავდა, ისე, სრული სიმართლე დაწერეს ფსიქიატრებმა, სააკაშვილი დედის კალთას იყო გამოკერებული და ამან უარყოფითად იმოქმედაო. ის ახლაც დედის შუბაზეა გამობმული და ამიტომაც აქვს აფრები აშვებული. დედას ძალიან ჰგავს მიხეილი.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# ნატოსკენ მიმავალ გზაზე შლაგბაუმები აღიმართა, რომელიც შეიძლება ათი წელი არ გაიხსნას

პოლიტიკურმა კრიზისმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის უმაღლეს, თითქმის კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია, — ერთხმად აღნიშნავენ მსოფლიოს ანალიტიკოსები. ვითარების განმუხტვისთვის აუცილებელ პირობად პოლიტიკოსები პრეზიდენტების — ჯო ბაიდენისა და ვლადიმირ პუტინის პირისპირ შეხვედრას და მოლაპარაკებას მიიჩნევდნენ. მართალია, პრეზიდენტების რანგში მათი სამიტი ზაფხულში შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გაიმართა, რომელიც „წლის მთავარ შეხვედრად“ შეაფასეს პოლიტოლოგებმა. ჟენევაში პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ დაიწყებდნენ მუშაობას სტრატეგიული ბირთვული იარაღის შესახებ. სხვა რა საკითხები განიხილეს შვეიცარიაში ბაიდენმა და პუტინმა, დღემდე უცნობია. მაშინ ბაიდენმა განაცხადა: „...ჩემი ტაქტიკა ამერიკელი ხალხის ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული და არა რომელიმე ქვეყნის, თუნდაც რუსეთის წინააალმდეგ“. პუტინმა კი თქვა: „... ღია, კონსტრუქციული საუბარი გვქონდა... ჯო ბაიდენი კონსტრუქციული, გაწონასწორებული ადამიანია, რომელსაც პოლიტიკაში დიდი გამოცდილება აქვს“.




პოლიტიკური ფონი ექვსი თვის შემდეგ კვლავ დაძაბულია. ცნობილი იყო, რომ წელს გაიმართებოდა ბაიდენ-პუტინის სამიტი, მაგრამ როდის, სად და რა ფორმატში, შეხვედრამდე საიდუმლოდ რჩებოდა. სამი დღით ადრე გახდა ცნობილი, რომ ბაიდენ-პუტინის სამიტი დისტანციურად, ვიდეოჩართვის საშუალებით ჩატარდებოდა. წინასწარი შეთანხმებით, საუბრისას პრეზიდენტები ოთახში მარტო უნდა ყოფილიყვნენ. პრეზიდენტები დაცული სიხშირის სამთავრობო არხით ისაუბრებდნენ, რომლითაც მხოლოდ ქვეყნების მეთაურები სარგებლობენ. ექსპერტები წინასწარ ვარაუდობდნენ, რომ დიალოგი დიდხანს გაგრძელდებოდა, მინიმუმ 4 საათს მაინც, რადგან განსახილველი ბევრი საკითხი იყო.

სამიტის წინა დღეებში ჯო ბაიდენმა განაცხადა: „...ჩვენ არ ვცდნობთ წითელ ხაზებს, ვის მიერაც არ უნდა იყოს ისინი გავლებული“.

ექსპერტების შეფასებით, ბაიდენმა აღნიშნული განცხადებით მოკავშირეებს აჩვენა, რომ საქმეს ვაკეთებ, ვიბრძვიო. თუმცა არ დაუკონკრეტებია, რას მოიმოქმედებს, თუ წინააღმდეგობას წააწყდება „წითელ ხაზებთან“ დაკავშირებით. ანალიტიკოსების განცხადებით, ბაიდენს რეალურად აღელვებს აშშ-რუსეთის მომავალი ურთიერთობა. ამის გარდა აშშ-ის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იყო რუსეთისთვის დაწესებული სანქციები, ასევე გაზსადენ „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ზე ცალკეული კონგრესმენებისა და სენატორების დაჟინებული მოთხოვნით. გავრცელებული ინფორმაციით, ბაიდენის ადმინისტრაცია წინააღმდეგია „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ზე სანქციების დაწესებით, რადგან გერმანელი ბიზნესმენები ამის წინააღმდეგი არიან, ბაიდენს კი არ სურს, გაანაწყენოს ისეთი ძლიერი მოკავშირე ევროპაში, როგორიც გერმანიაა.

რუსეთის პრეტენზიები არახალია, პრეზიდენტ პუტინს არაერთხელ უსაუბრია „წითელ ხაზებზე“. კონკრეტულად, მისთვის მიუღებელია ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება. კერძოდ, უკრაინის, საქართველოს (თუმცა ჩვენი ქვეყანა სამიტის შემდეგ, სავარაუდოდ, დიალოგის მსვლელობისასაც ერთხელაც არავის უხსენებია) ალიანსში გაწევრიანება. რუსეთის მხარე კატეგორიულად წინააღმდეგია მცირე და საშუალო მანძილის რაკეტების მათ საზღვრებთან განთავსების, როგორც აშშ-ის, ასევე ნატოს მიერ. ამასთან, პუტინის მთავარი მოთხოვნაა, ყველა შეთანხმება იურიდიულად გაფორმდეს. ითხოვს ასევე არსებული სანქციების ანულირებას. რუსეთში უკმაყოფილებას ვერ მალავენ ორივე ქვეყნიდან დიპლომატების გაძევებით. ფაქტობრივად, პუტინმა იგივე საკითხები წამოწია, რომლებზეც ჟენევის შეხვედრისას ისაუბრეს.

დიალოგი აშშ-რუსეთის პრეზიდენტებს შორის მართლაც სრულად გასაიდუმლოებული იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ასეთი მაღალი დონის სამიტის ამსახველი კადრები მწირია, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. აშშ-ის მხარემ მხოლოდ ერთი ფოტოსურათი გაავრცელა. სიტუაციურ კაბინეტში, საიდანაც ბაიდენი პუტინს ესაუბრებოდა.



ვიდეოსიუჟეტი, რომელიც იხილა სამყარომ, რუსეთის პრეზიდენტის ოპერატორებმა გაავრცელეს. კადრებში ჩანს, როგორ შევიდა პუტინი სიტუაციურ კაბინეტში, შეამოწმეს კავშირი... მცირე დროით გაითიშა აშშ-სთან სიგნალი. ექსპერტების თქმით, ამერიკული მხარე დაელოდა ბაიდენის სავარძელში ჩაჯდომას. პრეზიდენტები ერთმანეთს ღიმილით მიესალმნენ. ჯო ბაიდენმა ორივე ხელი ასწია და ისე უპასუხა პუტინს მისალმებაზე. „...მოხარული ვარ თქვენი ნახვით. სამწუხაროდ, „დიდი ოცეულის“ სამიტზე პირადად ვერ გნახეთ. დისტანციურ საუბარსაც არა უშავს რა. იმედია, მალე პირადად შევხვდებით ერთმანეთს“, — უთხრა ბაიდენმა რუს კოლეგას. „აუცილებლად შევხვდებით“, — უპასუხა პუტინმა. აი, ის მწირი კადრები, რაც იხილა სამყარომ პრეზიდენტების სამიტთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ პუტინი სოჭის სამთავრობო რეზიდენციაში იმყოფებოდა და არა კრემლში. თარჯიმნები კი ცალკე ოთახში იმყოფებოდნენ.

ჟენევის სამიტისგან განსხვავებით, პოლიტოლოგებმა ახლანდელი მოპალარაკება მოკრძალებულად, ჩვეულებრივ სამუშაო შეხვედრად შეაფასეს. თუმცა ცალკეული პოლიტიკოსები ისტორიულ მოვლენადაც მიიჩნევენ. თავად პუტინი ჩართვაზე სამთავრობო თათბირიდან მივიდა. „...გთხოვთ, მოკლედ და კონკრეტულად განვიხილოთ საკითხი. ერთი საათში პროტოკოლური ღონისძიება მაქვს“, — უთხრა თათბირის დასაწყისში პუტინმა მინისტრებს. მიუხედავად მსგავსი შეფასებისა, სამიტი მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო მსოფლიოსთვის, რადგან ორ უდიდეს ქვეყანას შორის დაიწყო (განახლდა) ურთიერთთანამშრომლობის პროცესი.



სამიტი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყო და ორ საათს გაგრძელდა. ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს ბაიდენისა და ჩინეთის ლიდერ სი ძინპინის მოლაპარაკებაზე, რომელიც სამსსაათნახევარი გაგრძელდა. ამასთან, უჭირთ ვარაუდის გამოთქმაც, რატომ დასჭირდათ აშშ-რუსეთის პრეზიდენტებს დიალოგისთვის შედარებით ნაკლები დრო. ორივე მხარის შეფასებით, სამიტმა კონსტრუქციულ, თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. კონკრეტულად რა საკითხები განიხილეს პრეზიდენტებმა, თავისთავად, დღემდე უცნობია. მხოლოდ შეიძლება ვარაუდების გამოთქმა ოფიციალური პირების განცხადებებიდან გამომდინარე,

დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა უკრაინა და იქ მიმდინარე პროცესები იყო. იქაური ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს რუსეთის მიერ უკრაინის მოსალოდნელ ანექსიაზე. მათ ევროკავშირის ცალკეული ქვეყნებიც ეთანხმებიან. განსხვავებულ აზრზეა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი უილიამს ბიორნსი, რომელიც უარყოფს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ აგრესიას. ამასვე ადასტურებს ჯეიკ სალივანი. მისი განცხადებით, პუტინი არ აპირებს უკრაინაში სამხედრო ძალებით შეჭრას. „...ჯო ბაიდენი გულახდილად ელაპარაკა პუტინს და პირდაპირ უთხრა, რომ თუ უკრაინაში შეიჭრება, ევროპის ქვეყნებთან ერთად მიიღებენ მკაცრ ზომებს“, — განაცხადა სალივანმა. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ნაკლებად სავარაუდოა, პრეზიდენტებს ორი საათი მხოლოდ უკრაინაზე ან რომელიმე სხვა ქვეყანაზე ესაუბრათ, რადგან თავიანთი პრობლემებიც თავსაყრელად აქვთ. ჯო ბაიდენმა სამიტის შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთის აგრესიის შემთხვევაში სამხედრო შენაერთებს გააძლიერებენ პოლონეთში, რუმინეთში და არა უკრაინაში. აშშ-ის პრეზიდენტი გააღიზიანა ჟურნალისტის შეკითხვამ, რატომ ამბობს უარს ჯარების უკრაინაში გაგზავნაზე. ამაზე ბაიდენმა უპასუხა: „...თქვენ მზად ხართ, გააგზავნოთ ჩვენი სამხედროები რუსეთთან საბრძოლველად მათ მოედანზე? ბოლოჯერ გეტყვით, პუტინს პირდაპირ ვუთხარი, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში უმკაცრეს სანქციებს გამოვიყენებთ“. ყირიმი სამიტზე ერთხელაც არ უხსენებიათ, სავარაუდოდ, ამ საკითხმა უკვე დაკარგა აქტუალობა.

მიმომხილველებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ სამიტის შემდეგ კომენტარებს ჯეიკ სალივანი აკეთებდა ენტონი ბლინკენის ნაცვლად. წესისამებრ, საერთაშორისო საკითხებზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები საუბრობენ, ამჯერად ტრადიცია დაირღვა. ექსპერტების ვარაუდით, შესაძლოა, ბლინკენი სალივანით ჩაანაცვლონ. სამიტის შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტში



განაცხადეს, რომ უკრაინამ (და, სავარაუდოდ, ჩვენც) ნატოში გაწევრიანებაზე ათი წელი არ უნდა იფიქროს. განცხადებით შეშფოთდა ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, რომლის თქმითაც ალიანსის კარი ღიაა ყველა მსურველისთვის, ვინც ნატოს წესდების პირობებს აკმაყოფილებს. როგორც ვხედავთ, ნატოში ქვეყნებს შორის აზრთა სხვაობაა.

სამიტის დასრულების შემდეგ ჯო ბაიდენი ტელეფონით ესაუბრა გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ნატოს ხელმძღვანელებს და მოლაპარაკების შედეგები გააცნო. უკრაინის პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის მხოლოდ ორი დღის შემდეგ დაურეკა: „... ნატოსკენ მიმავალ გზაზე შლაგბაუმები აღიმართა“, — განაცხადა ზელენსკიმ ბაიდენთან საუბრის შემდეგ.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# გერმანიის ახალი კანცლერი ქვეყნის სოციალიზმის გზით წაყვანას აპირებს



გერმანია ოფიციალურად დაემშვიდობა ანგელა მერკელს, გერმანიის ფედერალური კანცლერის პოსტი გამოცდილმა პოლიტიკოსმა და სოციალური პროგრესის მომხრემ ოლაფ შოლცმა დაიკავა. ევროკავშირის მთავარი ეკონომიკის საჭესთან პირველად აღმოჩნდა სოციალისტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, რომლისგანაც ელოდებიან თანამედროვე მემარცხენეებისთვის დამახასიათებელ ლიბერალურ საგარეო პოლიტიკას, უმცირესობების დაცვას და კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლას. ქვეყნის მოსახლეობა კურსის შეცვლას ნაკლებად უნდა ელოდოს, რადგან გერმანიის ახალ მთავრობას აწყობს როგორც აშშ-სთან, ასევე რუსეთთან ურთიერთობაც.



**დამშვიდობება აღმოსავლეთგერმანელ ქალბატონთან.** ტრადიციული იყო ანგელა მერკელთან დამშვიდობება მას შემდეგ, რაც 16 წელი გაატარა კანცლერის პოსტზე — ბუნდესვერის გენშტაბის ეზოში, ბერლინში — ეს იყო სახელმწიფო ლიდერის მიმართ გამოხატული უმაღლესი პატივისცემა.

ღონისძიების დასასრულს მერკელს თვალები აუცრემლიანდა...

ყველასთვის ნათელია, რომ მერკელის ერა დასრულდა და გერმანიისთვის ახალი დროება დგება.

**ვინ ხართ თქვენ, ჰერ შოლც?** ოლაფ შოლცს არა მხოლოდ გერმანელები იცნობენ, არამედ მისი სავაჭრო პარნტიორებიც — როგორც გფრ-ის ფინანსთა მინისტრი, ის ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი. მანამდე შრომის მინისტრი იყო, ასევე, გერმანიის ერთ-ერთი საკვანძო სავაჭრო ქალაქის, ჰამბურგის მერიც, ხოლო მას შემდეგ, რაც მისმა პარტიამ ხმების დიდი რაოდენობა მიიღო, გერმანიის ვიცე-კანცლერი გახდა.

შოლცი მერკელზე უფრო „წითელი" პოლიტიკოსი აღმოჩნდა, მან კარიერა 1980-იან წლებში ახალგაზრდა სოციალისტებთან დაიწყო. შოლცს მარქსისტული შეხედულებები ჰქონდა და მისი ახალგაზრდობა მომავალ პოლიტიკურ ტრაექტორიაზე აისახებოდა. მარქსისტების აღზრდილმა კანცლერმა მემარცხენე მიმართულების პროგრამა დაწერა და შესაბამისი მინისტრთა კაბინეტიც შექმნა.

პარლამენტში გადამწყვეტი უმრავლესობა შოლცმა მემარცხენე-ლიბერალური „მწვანეებისა" და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ლიბერალ-მებაზრეების მონაწილეობით მოიპოვა. ექსპერტების თქმით, ახალი მთავრობისგან უნდა ელოდონ რადიკალურად მემარცხენე-ლიბერალურ და პროგრესულ ზომებს, კერძოდ, საემიგრაციო და გენდერული პოლიტიკების ლიბერალიზაციას.

**კოვიდური დროება.** გერმანიას, როგორც მთელ მსოფლიოს, კოვიდთან გამკლავება უწევს.

ავსტრიელები მრავალმილიონიან მიტინგებს აწყობენ სავალდებულო ვაქცინაციის წინააღმდეგ. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, გერმანიაში ასე არ მოხდება — შოლცს ეყოფა მანევრულობა და ავტორიტეტი ნებისმიერი შეზღუდვების „გასაქაჩად", რადგან გერმანული საზოგადოების მენტალიტეტის წყალობით, რომელსაც ხელისუფლების მიმართ დიდი ნდობა გააჩნია, შოლცის მთავრობა შეძლებს საბედისწერო პოლიტიკური შედეგების გარეშე მიიღოს მკაცრი არაპოპულარული ზომები.

კიდევ უფრო მკაცრი იქნება ანტიკორონავირუსული პოლიტიკაც. როცა მსოფლიოს ექიმებმა ომიკრონ-შტამის შესახებ დაიწყეს საუბარი, გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ლოკდაუნები, სკოლების დახურვა და პირადი კონტაქტების აკრძალვა ექსტრემალური სიტუაციის გამო, ქვეყნის ძირითად კანონს არ ეწინააღმდეგება. მიუხედავად ადგილობრივი ხელისუფლებების აზრთა სხვადასხვაობისა, აკრძალვები მთელი გერმანიის მასშტაბით იმოქმედებს.

**მემარცხენე მიმართულება.** „მწვანეების" პარტია ანგელინა ბერბოკის ლიდერობით მმართველ კოალიციაში დიდ როლს თამაშობს. განვლილ არჩევნებზე მან ბუნდესტაგში სავარძლების რაოდენობის მიხედვით მესამე ადგილი დაიკავა, უფრო ზომიერი სოციალ-დემოკრატიული პარტია იძულებულია, ანგარიში გაუწიოს მას.

ახალი ხელისუფლება აპირებს გააძლიეროს სოციალური მიმართულება და მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენებს აღმოუჩინოს დახმარება — მინიმალური ხელფასი ერთ საათში 9-დან 12 ევრომდე გაიზრდება. გეგმაში აქვთ საცხოვრებელის პრობლემის მოგვარებაც, 400 ათასი ახალი ბინის აშენება ყოველწლიურად, რომლის ერთი მეოთხედი სოციალური საცხოვრებელი იქნება.

შოლცის ამომრჩევლებს — დიდი ქალაქების ახალგაზრდობას, მისი გეგმები მოსწონს, კერძოდ, ახალი ხელისუფლება აპირებს მარიხუანას ლეგალიზებას, მასზე ლიცენზიების გაცემას, ხარისხის კონტროლსა და მარიხუანათი მოვაჭრეების დაბეგვრას.

გარდა ამისა, კოალიცის გეგმებში შედის ხმის მიცემის ასაკის 18-დან 16 წლამდე დაწევა, მაგრამ ამ საკანონმდებლო ცვლილებებისთვის საჭიროა პარლამენტის ორი მესამედის მხარდაჭერა.

შოლცის პროგრამა ითვალისწინებს ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერასაც. მას უნდა გაუიოლოს ცხოვრება ემიგრანტებს — მოქალაქეობაზე საბუთების შეტანა მათ უკვე ხუთი წლის შემდეგ შეეძლებათ (ახლა ეს ვადა 8 წელია).

თუმცა არსებობს ერთი პრობლემა — ამ მასშტაბური გეგმების შესრულებისთვის სოციალისტებს ფული არ ჰყოფნით. ნოემბერში ითქვა, რომ შოლცი თავის რეფორმებში აპირებს მსხვილი ნაციონალური ბისნესის ჩართვას და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 50 მლრდ ევროს მოძიებას. კოალიციის სხვა პარტიები არ ემხრობიან ამგვარ მიდგომას და შოლცს მოუწოდებენ, კერძო ინვესტიციებზე მოახდინოს კონცენტრაცია და ამგვარად გააძლიეროს საშუალო კლასი.

დამოუკიდებელი მიმომხილველები არაპროფესიონალიზმზე საუბრობენ და მაგალითად „მწვანეთა" კანდიდატები მოჰყავთ — ფრიად უცნაურად გამოიყურებიან ამალენა ბერბოკი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე და სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე წარმოშობით თურქი ჯემ ოზდემირის წამოყენება, რომელიც ხორცის ჭამის მტკიცე მოწინააღმდეგეა.

**კლიმატური ინტერნაციონალი.** გერმანიის ახალი მთავრობის ცენტრალურ საკითხად კვლავ კლიმატური დღის წერიგი რჩება — კლიმატის ცვლილებისთვის გლობალური წინააღმდეგობა. შოლცი ხაზს უსვამს იმას, რომ მის პრიორიტეტებს შორისაა „ევროპის სუვერენიტეტი". პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ნაციონალურ ხელისუფლებებს მოუწევთ, ანგარიში გაუწიონ კლიმატური კლუბის ინტერესებსა და მის გლობალისტურ შეხედულებებს.

შოლცს ისევე, როგორც ნობელის პრემიის ამერიკელ ლაურეატს უილიამ ნორდჰაუსს, უნდა, რომ გერმანია, როგორც მსოფლიო, განახლებულ ენერგიაზე გადავიდეს. გერმანიის კოალიციური მთავრობა ოცნებობს, 2030 წლისთვის გფრ-მ უარი თქვას ნახშირის გამოყენებაზე. ხელისუფლება ასევე აპირებს ქვეყნის ფართობის 2%-ზე ქარის გენერატორები განათავსოს.

ამასთან, იმავე 2030 წლისთვის გათვალისწინებულია ენერგიის 80 პროცენტის განახლებადი წყაროებიდან მიღება — გერმანიის გზებზე დაახლოებით 15 მლნ ელექტროძრავიანი ავტომანქანა იმოძრავებს.

იგივეს ელოდება გფრ კლიმატური კლუბის 16 წევრი-ქვეყნისგანაც, რომლის გაფართოებაც იგეგმება. ევროკავშირის კონსერვატიული ოპოზიცია ამაში ნაციონალური სუვერენიტეტის საფრთხეს ხედავს, მაგალითად, უნგრეთის ოჯახის, ახალგაზრდობისა და საერთაშორისო ურთიერთობების მინისტრი კატალინ ნოვაკი. მისი თქმით, გერმანიის ახალი მთავრობა ევროპის სხვა ქვეყნებს თავს ახვევს თავის შეხედულებებს და იდეებს, რასაც წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს, რადგან ბლოკის ყველა წევრს უფლება აქვს, თვითონ განკარგოს საკუთარი რესურსები.



**უხერხული პარტნიორობა.** შოლცი რუსეთთან ურთიერთობის მომხრეა და ჯერ კიდევ მინისტრის პოსტზე ყოფნისას პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებებს აშშ-სთან „ჩრდილოეთ ნაკადი-2"-თან დაკავშირებით. მან არაერთხელ განაცხადა, რომ რუსეთთან წინააღმდეგობა ევროპის ხალხებს არაფერში სჭირდებათ.

გერმანიის კავშირი ნატოს პარტნიორ ქვეყნებთან მეგობრულ ურთიერთობებზე კი არა, გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ბაზებსა და მჭიდრო სავაჭრო თანამშრომლობას ემყარება და რამდენად აისახება ეს რუსეთთან ურთიერთობაზე, უკვე გამოჩნდა.

შოლცმა ბოლო დროს მკაცრად გააფრთხილა რუსეთი, თავი შეიკავოს უკრაინაში შეჭრისგან. ასევე გააკრიტიკა რუსეთის შიდა პოლიტიკა, ისაუბრა ხელისუფლების ავტოკრატულ ხასიათზე, ლიბერალური საზოგადოებისა და ღია საზოგადოების შიშსა და სექსუალური უმცირესობებისადმი უარყოფით დამოკიდებულებაზე.

აგრესიული რიტორიკის მიუხედავად, შოლცი უარს არ იტყვის რუსეთთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებზე, რომლებიც რუსეთს და გერმანიას ერთნაირად სჭირდება. მერკელის წასვლით ბევრი არაფერი შეიცვლება და გერმანია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# ვალმოხდილი მამულიშვილი

**„ოთარ ფაცაცია გარდაიცვალაო!“** – მეგობარმა შემატყობინა ტელეფონით!

ამ რამდენიმე წლის წინ ბატონი ოთარისგან ავტოგრაფიანი წიგნი **„დროსთან ჭიდილში“** მივიღე საჩუქრად. წიგნი ავტობიოგრაფიულია და ცხადია, ავტორი დიდი სიფრთხილით ყვება, ბავშვობიდან მოყოლებულ, გავლილ ცხოვრების გზაზე, რომელიც მარტო ერთი ადამიანის წარსული როდია, აქ ცოცხლდება თანამედროვეს თვალით დანახული, შეულამაზებელი, მაგრამ უაღრესად საინტერესო, როგორც პირადი, ასევე ქვეყნის ისტორია.

წიგნის კითხვისას, ისეთ ადგილებში გამიყოლია მისმა ავტორმა, ხან შიშის ჟრუანტელმა დამიარა (ისევე, როგორც ოცდარვა წლის წინ, როცა სამტრედიიდან ზუგდიდისკენ მიმავალთ, ხობში, „მხედრიონის“ პიკეტის გავლისას ავტომატის



ჯერი მოგვაყოლეს და სასწაულით გადავურჩით სიკვდილს), ხანაც კიდევ, მომეფერა და დამაიმედა.

რაც უფრო მცირდებოდა წასაკითხი გვრდების რაოდენობა, მით უფრო მაწუხებდა ბავშვობაში არაერთგზის განცდილი, — ნეტავ, მალე არ დამთავრდეს-მეთქი!

მიუხედავად ამისა, ავტორმა მოულოდნელად დაამთავრა თხრობა... გვიან შევნიშნე, მომდევნო გვერდებზე ბატონი ოთარის მეგობრები და კოლეგები ჰყვებოდნენ მასზე, მაგრამ ვერც ერთ მათგანთან ვერ ვიპოვე ის, რაც მე მინდოდა მომესმინა.

...ბოლო 25 წლის მანძილზე, კვირა არ გასულა ერთმანეთს არ შევხმიანებოდით, ე.წ. **„პანდემიამდე“**, წელი არ გასულა ერთხელ მაინც არ გავსულიყავით საზღვარგარეთ, ძირითადად, გერმანიაში და ბუნებრივია, ის, რაც წიგნში წავიკითხე, თითქმის ყველაფერი მოსმენილი მქონდა, მაგრამ იმდენად საინტერესო აღმოჩნდა ერთ წიგნში თავმოყრილის წაკითხვა, ისე მოულოდნელად გავედი ბოლოში, ვიფიქრე, გვერდები ხომ არ აკლია-მეთქი და სტამბის შეცდომას დავუწყე ძებნა.

- არა, წიგნს არც ერთი გვერდი არ აკლდა, აკლდა მხოლოდ ის, რასაც ქვემოთ მოვყვები:

...1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ათი დღის თავზე, აჭარის მთიანეთი წალეკა ზვავებმა. სოლგომანის მთა ჩამოიქცა და სოფელი 70 მეტრი სისქის ღორღმა და ტალახმა დაფარა. 42 ადამიანი შეეწირა მაშინ სტიქიას.

ასოციაცია „ჯავახეთის“ კომიტეტმა გადაწყვიტა თანხები კერძო ინიციატივითაც მოეძია (მოგვიანებით „მერაბ კოსტავას ფონდი“ შეიქმნა ამ მიზნით) და მისი წევრები საქართველოს ყველა კუთხეში დავნაწილდით.

ბუნებრივია, მე სამეგრელოსკენ გავწიე, ბატონ ოთარ ფაცაციას, **„ენგურქაღალდ კომბინატის“** გენერალურ დირექტორს ვესტუმრე ზუგდიდში და ჩვენი ინიციატივის შესახებ მოვახსენე.

ამ დღეს შედგა ჩვენი ახლოს გაცნობა და პირველი საქებარი სიტყვაც მაშინ მოვისმინე მისგან: **„გამიხარდა, რომ ჩვენი კუთხის კაცი, ერთ-ერთი ინიციატორი ხარ გასაჭირში ჩავარდნილი ქართველების შველაშიო.“**

ერთი კვირის თავზე, თბილისში დაბრუნებულს შემატყობინეს: **„ზუგდიდიდან მილიონ ორასი ათასი მანეთი გადმოირიცხაო აჭარელთა დახმარების ფონდში!“**

1991 წლის ბოლოს, ანტიქართული ძალების მიერ, ეროვნული მთავრობის დამხობას და დედაქალაქის შუაგულის გადაწვას, ხუთგზის სადამსჯელო ლაშქრობა მოჰყვა სამეგრელოში.

...როცა ნდობა დაკარგა ყველამ და ყველაფერმა, როცა საშველი არსაიდან ჩანდა, მაშინ გამოჩნდა ადამიანი, ვინაც თავის თავზე იტვირთა უმძიმესი პასუხისმგებლობა და ხელოვნურად შექმნილი ჩიხიდან სამეგრელოს გამოყვანა სცადა, — იყო ბატონი ოთარ ფაცაცია!

...1996 წელს პირველად მომიწია ბატონ ოთართან ერთად გერმანიაში ჩასვლა, ბადენ-ბადენში ქაღალდის წარმოების ფლაგმანებს შევხდით.

**არ დამავიწყდება, მაშინ ოთხმოცდაათს მიღწეული, „ქაღალდის წარმოების მამად“ წოდებული, ბატონი ოთარის უფროსი მეგობარი ტორსტენ რილკე, — როგორ იხსენებდა 1956 წელს ბატონ ოთართან პირველ შეხვედრას ფინეთში, ლიდოში, ჟაკლინ კენედისთან და ონასისთან ერთად გატარებულ საღამოს, შეხვედრებს გერმანიასა და იაპონიაში...**

ბ-ნი რილკე მიესალმა საქართველოში ქაღალდის წარმოების განვითარებას და თანადგომაც აღუთქვა ბატონ ოთარს, მაგრამ იქვე დასძინა: **„ამისათვის აუცილებელია, თქვენმა მთავრობამ ეს დარგი ერთ-ერთ სახელმწიფო პრიორიტეტად გამოაცხადოსო!“**

სამწუხაროდ, ამ საქმეს განხორციელება არ ეწერა, რადგან:

**ქაღალდის წარმოების გერმანული ტექნოლოგიების დანერგვისთვის კი არა, საქართველოს მისი კრიმინალი მმართველები „განვითარებადი ქვეყნები“-ს რიგში ჩასაყენებლად ამზადებდნენ.**

...საქართველოში რა მოგახსენოთ, მაგრამ გერმანიაში წარსულის დამსახურება უკვალოდ არ იკარგება:

**2005 წლის 9 აპრილს, ბატონი ოთარი მიწვეულ იქნა „ევროპის ხალხთა გამაერთიანებელი ჰუმანიტარული ორდენის „Cordon Bleu Du Saint Esprit“-ის საერთაშორისო შეკრებაზე ქალაქ ზოლინგენში, სადაც — „ქაღალდის მრეწველობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის“ ორდენის საპატიო წევრად იქნა მიღებული.**

2016 წლის სექტემბერში, ზემოთხსენებული ორდენის მიერ, ნორდრაინ ვესტფალიაში, მოწყობილ შეხვედრაზე დიდი მოწონება დაიმსახურა ბატონი ოთარის ინიციატივამ ქართველ და რაინისპირეთის მევენახეთა სამომავლო შეხვედრის თაობაზე.

...მოგონებებს რა გამოლევს, მაგრამ ყველაზე მეტად 1999 წლის შემოდგომაზე ახმეტაში, ჩვენს საერთო მეგობარ კობა ნამორაძესთან, გერმანელ მეგობრებთან ერთად სტუმრობა შემომრჩა.

- სანამ მასპინძელი სუფრასთან მიგვიპატიჟებდა, ახმეტის ცენტრში გასეირნება გადავწყვიტეთ. ბატონი ოთარი მაშინვე დაგვეთანხმა, საზაფხულო ფარფლებიანი ქუდი დაიხურა თავზე — **არავინ მიცნოს, თორემ ვახშამზე დაგვაგვიანდებაო!**

ასე გავუდექით გზას სახალისო ამბების მოგონებებით, ვიდრე ე.წ. **„ბირჟასთან“** გავლისას იქ შეკრებილთ, ერთი ჯანიანი გლეხი კაცი არ გამოეყო და მე მომვარდა შეძახილით:

**„ბიჯოოო, ეგა, ოთარ ფაცაცია არ არიიი? გააჩერე კაცო, ერთი მომაფერებინე მაგ მადლიან ქართველსა!.. მაგ კაცს, სხვა დროს მე სადღა ვნახამო!“**

იმწამს გავიფიქრე: **განა რომელი სამთავრობო ჯილდო შეედრება ამას?!.**

თუმცა, ბატონი ოთარის მიერ გაკეთებული ათასჯერ მეტი სიკეთე ახსოვს უამრავ ადამიანს, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, რომელსაც ვერც წიგნი და მით უმეტეს, საგაზეთო პუბლიკაცია ვერ დაიტევს.

უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილო მამულისშვილო!

**დავით ქობალია**



# ბიძაჩემი - შალვა ფეტელავა

ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ასე უეცრად წაგვივიდოდა ხელიდან სათაყვანებელი ადამიანი. ის უკანასკნელი ფეტელავა იყო ჩვენი დიდოჯახიდან — ფეტელავების მახვში.

**შალვა (შაქრო) ფეტელავა** დიდოჯახის რიგით მეშვიდე შვილი გახლდათ, ყველაზე უმცროსი. სულმუდამ მოძრავი, დაუდგომელი, განსაკუთრებული პრაგმატულობით გამორჩეული პიროვნება. არაფერს დაუთმობდა ვინმეს. მან ორი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა წარჩინებით, იყო ბიოლოგიც და აგრონომიც და მაინც სპორტს გამორჩეული ადგილი ეკავა მის ცხოვრებაში — ფეხბურთს. თავის დროზე შაქროს უთამაშია ზუგდიდის „დინამოში“ ცენტრალურ ფორვარდად, 10 ნომერი მაისურით.

ჩვენი განუყრელი მეგობრობა ჯერ კიდევ ჩემი სიყრმის წლებიდან დაიწყო, როცა ოტობაიაში უხდებოდა საშუალო სკოლაში სიარული 9 კილომეტრით მოშორებული ფიჩორიდან. ყოველთვის გამახსენდება მისი ირონიული კილო, კულოთი რომ მომმართავდა, და ამანაც განაპირობა ჩემი რომანის მთავარი გმირის — ჭიჭე კვეკვეს — გიორგი ანთარიას ხასიათის სარკაზმი, ირონიულობა, რომლის პროტოტიპი ეჭვმიუტანლად შაქრო ფეტელავაა კარდუხიას გვარით.

ახალგაზრდულ წლებში დაოჯახდა. ცოლი მეზობელი სოფლიდან — ზემო ბარღებიდან მოიყვანა მშვენიერი **ტატა მირცხულავა**. სამი ვაჟიშვილი შეეძინა ამ განუმეორებელი ქალბატონისგან ჩემს უმცროს ბიძას — **სლავა, ლერი და ზაზა**, და თამამად შემიძლია განვაცხადო, მეუღლე მუდამ გვერდით ახლდა, ისინი ცალ-ცალკე იშვიათად თუ უნახავს ვინმეს ჭირსა და ლხინში. ქალს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ძია შაქრო, დედიდან — პისტი არნანხედან მოყოლებული, დებს, რძლებს, დისწულებს, შვილიშვილებს. მათ ოჯახის ბურჯებს ეძახდა, რაც სინამდვილეში ასეც არის საქართველოს ცხოვრების მაგალითით — დედის კულტმა შექმნა ჩვენი დედასაქართველო და დედის კულტი გადაარჩენს მას მომავალშიც ათასი განსაცდლისაგანო.

ობლად დარჩენილი უფროსი ძმის ოჯახის განსაკუთრებული ქომაგი იყო შაქრო ფეტელავა. ყოველნაირად ეხმარებოდა თავის ექვს ძმისშვილს. მათ შორის მე — უფროს ხელგამართვა არასდროს მომკლებია. ის გამუდმებით აკონტროლებდა ჩემს ცხოვრებას.

ჩემი შემოქმედების დიდი ქომაგი იყო შაქრო ძია უნივერსიტეტის წლებიდან მოყოლებული. მკვეთრად, მოსხლეტილად მიმითითებდა ხოლმე ამა თუ იმ პერსონაჟის ავანჩავანზე:

ჩემი ლიტერატურული სარბიელი განსაკუთრებულად ეამაყებოდა, მაგრამ ვერაფით შეეგუა იმ სინამდვილეს, რომ მე გულადი ფეტელავა – ფსევდონიმით გური ოტობაია, ვაქვეყნებდი ჩემს ნაწარმოებებს.

გავიდა წლები და როცა აფაზეთის დაცემის შემდეგ იქაურ სოფლებს ტოტალურად გამოეცვალა დასახელებები, როცა ოტობაია ხაშტა გახდა, აზრი შეიცვალა: აგერ, შეგიცვალეს სახელი ოტობაიელებს აფხაზებმა და რომ არა შენი ფსევდონიმი, ღმერთმა უწყის ასი, ორასი წლის შემდეგ საერთოდ შერჩება თუ არა იგი ქართულ ეთნოფსიქოლოგიას.

სიტყვამ მოიტანა და აფხაზეთის დღეებში არ დაუშლია შაქრო ფეტელავას შუათანა შვილისთვის სანგარში თვეობით გდება მამულის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. ხოლო ჩვენი სასიქადული კუთხის დაცემის შემდეგ იგი ერთხელაც არ მიბრუნებია სათაყვანერბელ სოფელს. არც იქაურ ლხინს წვევია და აღარც იქაურ საწუხარს, ენგურს იქით ფეხი არ გადაუდგამს, აქედან ანუგეშებდა და თანაუგრძნობდა თვისტომს.

ვასრულებ შენს უკანასკნელ თხოვნას, ჩემო დიდო მოამაგევ, ჩემო დიდბუნებოვანო ძია შაქრო და ჩემი ფსევდონიმის თანამეზობლობაში აწ და მარადის ვამკვიდრებ ჩემს ისტორიულ გვარს ფეტელავას.

მარად შენი,

**გური ოტობაია ფეტელავა.**
**11. 12. 2021 წ.**

## ფიქრია ჩუბინიძე



### ბედი

შენ რომ სიყვარული მისასთუმლე,
ფიქრით შემახიზნე ტრფობის კარავს,
ბედი, კვლავ არ იშლის მისას თურმე
და ჩვენი შეხვედრის იმედს მპარავს...
სევდა სულსაც იპყრობს წუთიერად,
ფრთები უფსკრულისკენ მიმაქანებს;
მიდის ეს დღეები უდიერად,
ცრემლი ნისლავს ზეცის მინანქარეთს!
ამ ცხოვრებას ვერაგს, ველარ ვუძლებ,
დროც ხომ მეტოქეა ჩემი გულის...
ლექსებს, ოცნებების ფერად ფურცლებს,
ვენდე სიყვარულში დაკარგული!
გარეთ შემოდგომის სიცივეა,
მე კი მარტოობით ვიმოსები...
ახლა ეს სამყარო იგივეა,
როგორც საპყრობილე გისოსებით!
შენ, რომ სიყვარული მისასთუმლე,
ფიქრით შემახიზნე ტრფობის კარავს,
ბედი კი, არ იშლის მისას თურმე
და კვლავ შენი ხილვის იმედს მპარავს!

### სენტიმენტები

გადაიავდრა წუხელის ცამ და
გამოჩნდა მთვარე შეუნიღბავი...
ვისიც მჯეროდა და ვისიც მწამდა,
ყველამ მიმრუდა გზა და იღბალი...
ახლა არავის აღარ მაქვს რიდი,
არც არვინ შემრჩა წრფელი და სანდო,
ცხოვრება როგორც ვულკანი მიდის,
ვნანობ,მაგრამ რა?ვაი, რომ რა დროს?!
ბევრჯერ დამემსხვრა ოცნების ფრთები
და იმედებიც ისევ გვიანობს!
პირღიმილიანს დღეს მრავალს ვხვდები,
მაგრამ რა ცოტა ადამიანობს!

### მონატრების კანტანტა

თვალწინ როდესაც წარმომიდგები
ვგრძნობ, მონატრება როგორ მაწამებს
და ვით ბერმანის ფოთლის ბინდები,
შენი ხატება აკრთობს წამწამებს...
გული მთებივით დარდით ნაზარდი,
კვლავ ათას ფიქრში ღამეს გაათევს
და ვარსკვლავები, უფლის ტაძარში,
ლოცვით ზეციურ სანთლებს აანთებს.
ვერ ვემიჯნები ლანდებს სულეთის,
ვგავარ შეპყრობილს ,ვით ოფელია.
ვგრძნობ ყველაფერი არის სულერთი...
სიცოცხლე ჯვარცმის გზა, სოფელია....
როცა შენ არ ხარ, ყველგან ღამეა,
ფიქრი და სული სხეულს შორდება...
ვიცი ცხოვრება მრუდი რამეა,
რაც იყო...აღარ განმეორდება!
მაგრამ, რა ვუყო გრძნობას უხილავს,
როცა ტკივილი აღწევს ძვლებამდე,
როცა ამ ფიქრებს ჰყავხარ წუხილად
ნატანჯი სულის ამოძრობამდე!
გაოგნებული ვარ მარგარიტა,
ხელშეკრულებას მიდებს ვოლანდი.
შენს სიყვარულს კი, როგორც მარიტა
ვატარებ, სულის ხორცში ყოლამდი...
ახლა დარდები სასოწარკვეთის,
კვლავ მონატრების ბანგით მაბრუებს...
ყველა იარა სულში ნაკვეთი,
შენი თვალების ჭრილში მაბრუნებს!
ღამე , გრძნეული მეფისტოფელი,
პენელოპეს ძველ ნიღაბს მოირგებს
და როგორც ფლიდი წუთისოფელი,
ყოველთვის თამაშს თავად მოიგებს!..
მე კი ვინა ვარ; ერთი კიდური,
უმიზნო დღეთა სევდის ფურცლიდან
და ცის კიდეზე გამოკიდული,
დრო,ვინც ამ ფურცელს
ფერებს უცვლიდა!

### შენ მოხვალ
### ერთ ლამაზ საღამოს

მიდიან დღეები, სინორჩით,
მოჰგვანან ფერმიხდილ ქალწულებს...
დროებას, ჩვენ ორნი შემორჩით
და გრძნობებს, ოცნებით ვარწყულებთ...
ალბათ ეს ღრუბლებიც გადიკრეფს,
მზე სხივებს გაუფენს ქარაფებს...
ტევრები სიყვარულს დამიკრეფს,
მე კი, სხვას ვისურვებ არაფერს!
და ველი იმ წუთებს საამოს,
იმ წამებს, ყველას რომ აოცებს!
შენ მოხვალ, ერთ ლამაზ საღამოს
და მთვარე მთვრალ მიხაკს აკოცებს!

### სევდის სიმფონია

მიგიხვდი ერთად სათქმელს და უთქმელს
და ყველა გრძნობას, გაფანტულს ფიქრად,
ჩამოუშვია ტოტები ურთხმელს
და სევდა ათოვს უნაზეს ფიფქად...
თუკი ამ წუხილს უფალი ხედავს,
დუმილის ხმაურს თუ ისმენს მთები,
მე შენი სუნთქვით სიცოცხლეს ვბედავ
და შენი გულის კოცონზე ვთბები...
და თუ ეს მიწაც ჩემსავით გნატრობს
და თუ ამ ცასაც უყვარხარ ვით მე,
თუ შენს წრფელ ლექსებს
ეს ცრემლი ათრობს,
ყველა განსაცდელს ღიმილით ვითმენ!
თუმც, ამ დროების მისნობის ვერ მწამს,
შენი ყვავილი ჩემს სულში ხარობს,
არავინ ამჩნევს ტყის ჩრდილში ლერწამს,
მაგრამ ყველაზე ლამაზად გალობს!

### სულის ყვავილი

ფიქრებით ვზარდე სევდის ყვავილი,
ზეცა ვარსკვლავთა ცვარ ნამს მაპკურებს
და სიყვარულიც დროგადავლილი
ძარღვს აკრთობს,როგორც სიო, საყურეს...
ველარ მოვირგე ერთი წამითაც,
ეს ჟამი ვიწრო თვალსაწიერით
და კმაყოფილი  მცირე რამითაც,
სხვის ხმიადს ვაცხობ, თავად მშიერი!
მხარგალეული მთვარე, ვით ცელი
ბინდში კვლავ სულის თავთავს გადამკის
და ვნანობ, ღმერთო ველარ შევძელი,
რამ შვება მეგრძნო, ბედის გადამკიდს!
მომკვეთეს ფრთები,გუშინ ცად ვფრენდი,
თეთრი ოცნებით ნაალერსები...
და ჩემთან ისე, ვით "ბოიფრენდი"
ღამეებს ათევს ბრიყვი ლექსები!
მავრამ, ეს სევდა როცა დაჭკნება,
გადამყნობილი სიყრმის მითებთან,
მარად უკვდავი ტრფობა დარჩება
ვით უდაბნოს მზე, პირამიდებთან!

## ენდი ნემსიწვერიძე



### შენ ის ხარ..

ცრემლთა მაჩნია ნაწვერი,
თვალებზე მოძმის მჯიღისგან,
სევდის რძეცა მაქვს ნაწველი,
ფიქრის ფურების ჯიქნიდან.
სიცოცხლეც ბევრჯერ უარვყავ
და შენ მიხსენი სანთელო,
რა ვქნა, სხვა მეტი რომ არ მყავს,
უფრო ძვირფასი ქართველო.
შენ ხარ ამ გულის მპყრობელი,
სხვის ომებში რომ რაინდობს,
შენ ხარ ის კაცი, რომელიც
ზოგჯერ ღვიძლ ძმასაც არ ინდობს.
შენ ბაზალეთის გმირიც ხარ,
გლოვებით დროშა დახრილი,
რამდენი ცოდვის შვილი ხარ,
რამდენჯერ ყორღანაშვილი...
და მაინც გზები უმოკლე,
მტერს რომ ეგონა გძინავდა,
შენს სულში მცხოვრებ
სულმოკლეს,
სულგრძელი ეძინძგილავა.
ბეჭებზე დადე ლაჩარი,
რომ გიმრუდებდა გზა-შარებს
და შენი ქრისტეს ლაშქარი,
დიდგორის დროშად გაშალე.
ჯაჭვის პერანგად იმოსავ,
ვეფხის ტყავს სახე ნათელი,
ხმალს იქნევ, პურს სჭამ,
ღვინოს სვამ...
და კვლავაც გქვია ქართველი.
ვწყევტ წერას ღვინით შემთბარი,
თვალს ცრემლებს აღარ ვაძალებ,
შენ ხარ ის... ვისაც შევხარი,
ვისაც ვაქებ და ვაძაგებ...

### და ვდგავარ რიგში

და ვდგავარ რიგში
თითქოს ვარსკვლავზე ვზივარ და ციდან,
ვუმზერ ცხოვრების მდარე მეიდანს,
არ მახსოვს სული როდის დასცილდა
სხეულს სიცოცხლის გალერეიდან.
და როგორც მზითევს, ვუმზერ ჩემოდნებს,
შიგ რომ ტენიდა ტვირთებსსატანა,
სხვა ვინ ზიდავდა ტკივილს ჩემოდენს,
ამ სიმაღლეზე ამოსატანად...
და ვდგავარ რიგში ზეცის  თემიდის,
ხელაპყრობილი ოთხი  ფიცრიდან...
და მერამდენე ბეცი დღე მიდის,
ხორცის ტირილი მესმის მიწიდან.

### მე შევხვდი წუხელ

მე შევხვდი წუხელ ჩემს ძველ ღამეს
ფიცით ნათენებს, ციცინათელებს
გავახსენე ექო ბავშვობის,
რთულია როცა მთის და ბარის
პერანგს ასველებ,
როცა მიწიდან ცას წვდები და
ეთამაშები...
გამოვიფატრე საკუთარი სულის
მუცელი,
სულმოუცლელი,
ვერ ვიქნები შენთვის მუზაო,
არც ბევრისმთქმელი არ იქნება
ეს ლექსი, მაგრამ...
მჯერა, სიკვდილთან რომ ექნება
ომი უზავო.
მე რომ ვიჯექი იმ მუხის ქვეშ ახლა
არ ისმის,
ქარის ხმის ფონზე,
ნახვატარი ღელის წანწკარი,
ხვალე მზის გულზე, ვინმე ახალ
მუხის ნერგს დარგავს,
რადგან ფესვიდან ამოხეთქვა
ვერ მოვასწარი...
მე შევხვდი წუხელ ჩემს ძველ ღამეს
ფიცით ნათენებს,
ციცინათელებს
გავახსენე ექო ბავშვობის,
რთულია როცა მთის და ბარის
პერანგს ასველებ,
როცა მიწიდან ცას წვდები და
ეთამაშები...

### გლეხის მონოლოგი

ნუ გეგონებათ ვარ მიამიტი,
ნუ გიკვირთ ქედი, რომ არ მოვხარე,
რადგან მეხურა ქოხზე კრამიტი,
იატაკად კი მქონდა სოხანე.
ნუ იქირქილებთ ჩემი შემყურე,
მე ცაში მხოლოდ იმით ავედი,
ერთ მწველ სიყვარულს რომ ვუერთგულე,
იმ სიყვარულს რომ შემოვაბერდი.
ნუ ისაუბრებთ ჩემზე დაცინვით,
ცალუღელა ხარს რომ არ ვაკადრე,
რომ დაბერდა და მოკვდა კაცივით
და ყელი რომ არ გამოვაღადრე.
რომ ვუერთგულე ზვრებს და ვენახებს,
რომ სიყვარული მთების დამქონდა,
რომ ჩემს ოქრო-ვერცხლს ხელს
ვერვინ ახლებს,
იმ მიზეზით რომ იგი არ მქონდა.
ვკვდები და არ ვარ ნერვებმოშლილი,
დრო მხოლოდ გუთნით ხელში ვატარე,
მრჩება სიმდიდრე - წვრილი ცოლშვილი
და ჭურში ღვინო ერთი საპალნე.
ნუ გეგონებათ ვარ მიამიტი,
ნუ გიკვირთ ქედი რომ არ მოვხარე,
რადგან მეხურა ქოხზე კრამიტი,
იატაკად კი მქონდა სოხანე.

### დასკვნა

ქარია.არ წვიმს. მაგრამ აპირებს...
გაინაპირეს მთებმა ნისლები,
კისრები ისე წაგრძელებიათ,
პატრონს ეძებენ თითქოს
იფნები.
ვიბნევი,
როცა ამგვარ ცას ვხედავ,
ვხევ და წყალს ვატან ლექსებს
მუნიანს...
ყრუ ნიავს ხევში ხმას უწყობს ღელე
და როგორც მგლები ისე ყმუიან...
გლოვობენ ალბათ, საწუთროს
წესს და... წევს და
ტორტმანებს ზეცის კელია,
ჯერ სადაც ღმერთი სიცოცხლეს
წერს და...
მერე თვითონვე მისი მკვლელია.
დასკვნა: სიკვდილის დიდ
ოპერიდან,
სიცოცხლე არის საწლო არია,
უსასრულობის მდიდრულ
ტევრიდან
ერთი პატარა საძოვარია.

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69



* * *

**— მაინტერესებს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ვინ მოიაზრება ახლო ნათესავად და ოჯახის წევრად?**

— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.

* * *

**— ვარ დაზარალებული ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. ავიყვანე ადვოკატი, რომელმაც მითხრა, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით მხარე და, შესაბამისად, ვერ ვისარგებლებთ სასამართლოში მხარეთა უფლებამოსილებებით. რამდენად სწორია ადვოკატის ნათქვამი? და ვინ არიან მხარეები სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას?**

— თქვენი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა პროფესიონალურად, კეთილსინდისიერად და სამართლებრივად სწორად განგიმარტათ თქვენთვის საინტერესო საკითხი.

სამწუხაროდ, დაზარალებული, ასევე დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე არ წარმოადგენს მხარეს და, აქედან გამომდინარე, ბევრად შეზღუდულია მათი პროცესუალური უფლებები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში მხარეს წარმოადგენს: ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.

ჩამოთვლილთაგან, ბრალდების მხარეა გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო დაცვის მხარეს მიეკუთვნებიან ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი.

* * *

**— ისმინება თუ არა ბრალდებულისა და მისის ადვოკატის საუბარი?**

— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია.

ამავე მუხლის მე- ნაწილის მიხედვით, კონფიდენციალურია, ასევე, პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობა. მოსმენა არ შეიძლება.

თქვენი შეკითხვაზე- ისმინება თუ არა ადვოკატისა და ბრალდებულის საუბარი, მე შემიძლია მხოლოდ კანონშესაბამისი პასუხის გაცემა. კანონის მიხედვით, მოსმენას არ უნდა ხდებოდეს, ხოლო თუ ხდება, ეს კანონდარღვევაა.

* * *

**— ხდება თუ არა სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო?**

— ხდება. წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მუხლი 74. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო.

1. სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს მსჯავრდებული, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდასთან და, ექსპერტიზის



დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია, ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია.

3. ამ მუხლის საფუძველზე სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულს, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, შეიძლება კვლავ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი, თუ არ გასულა ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

4. სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი — 65 წლიდან, მამაკაცი — 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.

5. ამ მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით განსაზღვრული საკითხების განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

6. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები არ ვრცელდება ამ კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასჯელზე.

7. ამ მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებისას შესაძლებელია იგი დამატებითი სასჯელის მოხდისაგანაც გათავისუფლდეს.

* * *

**ვარ მოწმე ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში. გთხოვთ, გამაცნოთ ჩემი უფლებები.**

— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწიზლის მიხედვით, მოწმეს უფლება აქვს:

ა) იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული;

ბ) თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რომელიც ჟესტური ენის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე;

გ) გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა;

დ) არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს;

ე) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

ვ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი მოიცავს, ასევე, მოწმის ვალდებულებებს.

მოწმე ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით;

ბ) უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;

გ) არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;

დ) დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;

ე) სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

* * *

**— სისხლის სამართალში კანონებს რომ აქვთ უკუძალა, ეს ვიცი. მაინტერესებს, სამოქალაქო სამართალში თუ აქვს ახალ კანონს უკუძალა?**

დიახ, სისხლის სამართალში ახლად მიღებულ კანონს აქვს უკუძალა. კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

დამატებით განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

განსხვავებით სისხლის სამართლისგან, სამოქალაქო კანონმდებლობაში ახლად მიღებულ კანონს ან ნორმატიულ აქტს არ გააჩნია უკუძალა, თუმცა, აქაც არსებობს გარკვეული დათქმა, რომელიც ჩადებულია შესაბამისი ნორმის შინაარსში. კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის /სამოქალაქო კანონთა უკუძალა/, მიხედვით, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

* * *

**— რა არის აღნაგობის უფლება?**

— აღნაგობა — მიწის ნაკვეთის გადაცემა ვადიან სარგებლობაში ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლებით. ასევე, ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება. აღნაგობის უფლება შეიძლება გავრცელდეს მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც არ არის აუცილებელი აღნაგობისათვის, მაგრამ იძლევა ნაგებობით უკეთ სარგებლობის შესაძლებლობას. აღნაგობის უფლების ვადა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 99 წელს.

* * *

**— რა განსხვავებაა იპოთეკასა და გირავნობას შორის?**

— იპოთეკით იტვირთება უძრავი ქონება, გირავნობით-მოძრავი ქონება. მაგალითად, მიწა იტვირთება იპოთეკით, ავტომობილი-გირავნობით.

* * *

**— რა შემთხვევაში შეიძლება შეჩერდეს სოციალური დახმარება?**

— სოციალური დახმარების გაცემა შეიძლება შეჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ:

- ოჯახი მუდმივად არ ცხოვრობს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე;
- ოჯახი ხელოვნურად არის გაყოფილი;
- ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული;
- შეიცვალა ოჯახის შემადგენლობა;
- ოჯახს დაემატა სრულწლოვანი წევრი;
- ოჯახში ბავშვის დაბადებიდან (შვილად აყვანიდან) და ბოლო შეფასებიდან გასულია 2 წელზე მეტი;
- ოჯახი უარს აცხადებს საარსებო შემწეობის დანიშვნაზე;
- ოჯახი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჭიროებს დამატებით შესწავლა-შემოწმებას.

# რას განასახიერებს ნაძვის ხის კენწეროზე დამაგრებული ვარსკვლავი?

ახალი წლის შემობრძანებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. ბევრმა ჩვენგანმა საახალწლო ნაძვის ხის მორთვა უკვე მოასწრო, ზოგი კი ამ მნიშვნელოვანი პროცესისთვის ახლა ემზადება, თუმცა ძალიან ცოტაა ისეთი, ვინც იცის, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ნაძვის ხის კენწეროზე ახალი წლის



აუცილებელი ატრიბუტის- ვარსკვლავის დამაგრებას და ნაძვის ხის ძირში საჩუქრების დაწყობას.

სინამდვილეში, ეს მხოლოდ ტრადიცია კი არა, 2000 წლის წინ დაბადებული იესო ქრისტეს სიმბოლური თაყვანისცემაა. იმის მიუხედავად, მართლმადიდებლურია თუ კათოლიკური, ევროპულ ტრადიციებში ახალი წელი ქრისტეს შობის დროს აღინიშნება. (კათოლიკებში 25 დეკემბერს, მართლმადიდებლებში 7 იანვარს), ამიტომ ქრისტიანული სამყაროსთვის ნაძვის ხის წვერზე დამაგრებული ატრიბუტი სიმბოლურად, ბეთლემის ვარსკვლავს განასახიერებს, სადაც იესო დაიბადა.

ძველ დროს, ხალხს სწამდა, რომ დიდი ადამიანების დაბადებასა და გარდაცვალებას თან სდევდა ცაზე მანათობელი ვარსკვლავის გამოჩენა ან გაქრობა. სწორედ ამიტომ, მოელოდნენ რა ღვთის განგების აღსრულებას, მოგვები ცაზე მანათობელის გამოჩენას ელოდნენ. როცა ვარსკვლავი შენიშნეს, მიხვდნენ, რომ კაცობრიობის მხსნელი უკვე დაიბადა და მაშინვე იუდეველთა სამეფოს დედაქალაქისაკენ გამოეშურნენ, რათა თაყვანი ეცათ ახალშობილი მაცხოვრისთვის.

ამ დროიდან მოყოლებული, ადამიანებისთვის რვაქიმიანი ვარსკვლავი ქრისტეს შობის, მოგვიანებით კი ახალი წლის სიმბოლო გახდა. საახალწლო ვარსკვლავი წინასწარმეტყველების ასრულებისა და საყოველთაო სიხარულის სიმბოლოა. ამიტომ, მორწმუნე ადამიანისთვის ეს სიმბოლო კეთილდღეობასთან, სიყვარულთან და ადამიანების დაახლოებასთან ასოცირდება.

ცნობილია, რომ მოგვებმა ახალშობილ იესოს საჩუქრები მიართვეს, რითაც უფლისა და წინასარმეტყველების პატივისცემა გამოხატეს. სწორედ ამას უკავშირდება ვარსკვლავით დამშვენებული ხის ქვეშ საჩუქრების დაწყობის ტრადიცია, რაც სიმბოლურად ღმერთისთვის საჩუქრის მირთმევას განასახიერებს.

რაც შეეხება ახალი წლის სიმბოლოს, არსებობს ლამაზი ლეგენდა, რომ შობის ღამეს ყველა მცენარე ახალშობილი იესოსთვის თაყვანის საცემად გაეშურა. დანიშნულების ადგილზე პირველი ბეთლემის სიახლოვეს მზარდი პალმა მივიდა. მას კიპარისები, ტირიფები, მუხები და სხვა ხეები მიჰყვნენ. ყველაზე ბოლოს შორეული ჩრდილოეთიდან მოსული ნაძვი გამოჩნდა. ადრე მოსულმა ხეებმა ნაძვი იესომდე არ მიუშვეს, მაგრამ ამ დროს, ციდან ვარსკვლავებმა იწყეს ცვენა. იესოს უკანასკნელი სტუმარი ათასფრად მოციმციმე ვარსკვლავებით დაიფარა და ირგვლივ მყოფი ყველა ხე დაჩრდილა.



ზუსტი თარიღი, როცა ნაძვი ახალი წლის სიმბოლოდ იქცა, უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ ეს გერმანიის ტერიტორიაზე მოხდა.

მოგვიანებით, გერმანელებისგან ტრადიცია ჰოლანდიელებმა და ინგლისელებმა გადაიღეს. XVI საუკუნეში ნაძვი ოფიციალურად, ახალი წლის სიმბოლოდ იქცა. თავიდან მას ვაშლებით, მსხლებით და კაკლებით რთავდნენ, რაც უკავშირდებოდა თქმულებას, რომ იესო ქრისტეს დაბადების დღეს, ყველა ხე ერთბაშად აყვავდა და ნაყოფი მოისხა. დროთა განმავლობაში, ნაძვის ხე გაცილებით დახვეწილი და ესთეტიურად მიმზიდველი გახდა. ქალაქის მოედანზე საახალწლოდ მორთული პირველი ნაძვის ხე XVII საუკუნის მეორე ნახევარში, საქსონიის ქალაქ ჰანოვერში გამოჩნდა. XIX საუკუნიდან შობას და ახალ წელს ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია მთელ ევროპაში გავრცელდა. 1818 წელს უნგრეთში, 1820 წელს ჩეხეთში, 1829 წელს სკანდინავიაში.

პირველი საზოგადოებრივი ნაძვის ხე საფრანგეთში 1840 წელს, ლუი ფილიპის მეფობის დროს გამოჩნდა.

ინგლისში ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია 1841 წელს დედოფალი ვიქტორიას ქმრის მცდელობით დამკვიდრდა. სულ რაღაც 10 წლის შემდეგ, სამეფო ოჯახის მსგავსად, საახალწლოდ ნაძვის მორთვის ტრადიცია მთელმა ინგლისმა აიტაცა.

ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია ამერიკაში გერმანელმა ემიგრანტებმა დაამკვიდრეს.

რუსეთში საახალწლო ნაძვის ხის ტრადიციის დამკვიდრება ჯერ კიდევ პეტრე პირველმა სცადა, თუმცა ამ ტრადიციამ მხოლოდ 100 წლის შემდეგ მოიკიდა ფეხი. რუსეთში ნაძვის მორთვა XIX საუკუნეების შუა ხანებიდან დაიწყეს. თავდაპირველად ამას გერმანულ ოჯახებში აკეთებდნენ, რომლებიც მრავლად იყო როგორც პეტერბურგში, ისე — მოსკოვში. შემდეგ ახალი ჩვეულება რუსებს შორისაც გავრცელდა.



სავარაუდოდ, საახალწლოდ ნაძვის ხის მორთვის ჩვეულება საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა. ახალ წელს ახლდა მისი აუცილებელი ატრიბუტი — ჩიჩილაკი, რომელსაც „ბასილას წვერებსაც“ ეძახდნენ. ჩიჩილაკის მეორე სახელი წმინდა ბასილის სახელს უკავშირდება და ბუნებრივია, ქრისტიანობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო.

და ბოლოს, ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საახალწლო სიმბოლოთეთრწვერა მოხუცი, კეთილი სანტა-კლაუსია, რომლის მოსვლას ყოველ შობა-ახალ წელს მილიონობით ბავშვი ელოდება. ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ თანამედროვე სანტა კლაუსის სახე ქრისტიანულ სასწაულმოქმედ წმინდანს ნიკოლოზს უკავშირდება.

წმიდა ნიკოლოზი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა, როცა შეიტყო, რომ ერთმა ღატაკმა, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა და მათი გამზითვება და გათხოვება არ შეეძლო, მათი საროსიკოპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება გადაწყვიტა. ქალწულები ტირილით ევედრებოდნენ უფალს ამ საშინელი ხვედრისაგან გამოხსნას. ღმერთმა მათ დამხმარედ მღვდელი ნიკოლოზი მოუვლინა, რომელიც სამჯერ მივიდა ღატაკის სახლთან და ყოველ მისვლაზე, კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. ღატაკმა სამივე ქალიშვილის გამზითვება და გათხოვება შეძლო. ამგვარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისაგან. წმიდა ნიკოლოზის ცხოვრების ამ ეპიზოდმა განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99